# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 25 დეკემბერი, 2010 წელი.

№241 (6607)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## „ცნობილი“ ქეთუსია იგნატოვა – „ფარული“ ჰომოსექსუალიზმის სადარაჯოზე ④



თუ ელირსათ გეებს პარადის ჩატარება, იმედია, კოლონას სათავეში ქეთუსია ჩაუდგება იმ „უამრავი ადამიანისთვის ძვირფასი მეგობრის“ სურათით ხელში.

## ③ ბატონო მინისტრო, შეიარეთ 150-ე საჯარო სკოლაში!

### ეხმაურებიან საახალწლო გამოკითხვას

## ყველაზე უფრო მატყუარა პოლიტიკოსის დასახელება გამოგრჩათ, ბატონებო

ნადვილად დროულია თქვენი საახალწლო გამოკითხვა. ჩვენი ვაიპოლიტიკოსებიდან ბევრი ქლესაც არის, მედროვეც და ამპარტავანი თითქმის სუყველაა. ამაზე ხალხი თვითონ მოგწერთ თავის აზრს, მე მინდა, რომ თქვენს გამოკითხვას თუ ანკეტას დაუმატოთ კიდევ ერთი გრაფა: ვინ არის ყველაზე უფრო მატყუარა.

ისე, ჩემი აზრით, ყველაზე ქლესად და მედროვედ მაინც პარლამენტარები ნუგზარ წიკლაური და ხათუნა ოჩიაური, ხოლო მედროვედ და ამპარტავნად ეკა ხერხეულიძე მეჩვენებიან. რაც შეეხება მატყუარას, ჩვენს პრეზიდენტს პირადად მე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მივანიჭებდი.

უმუშევართა არმიის სახელით
**თენგიზ პეტრიაშვილი,**
ქ. თბილისი




ქალბატონო ვერა და ბატონო გოგა, გაგვაგებინეთ: ⑤

## ჩვენია ჩვენი სამშობლო თუ...



## ეს როგორ ბრძანეთო, ბატონო ჯონ?!



### რატომ დაუმალეს სახელისუფლებო ტელეკომპანიებმა მაყურებელს საქართველოში ამერიკის ელჩის შეფასება-პოზიცია? ②

## საქართველოს პრეზიდენტის მშვიდობისმოყვარე ჟესტმა ჟენევის მოლაპარაკებაზე ⑧ პროგრესს ხელი ვერ შეუწყო

№ 241. შაბათი, 25 დეკემბერი, 2010 წელი.

ესეც ასე!

# ეს როგორ ბრძანეთ, ბატონო ჯონ?!

## რატომ დაუმალეს სახელისუფლებო ტელეკომპანიებმა მაყურებელს საქართველოში ამერიკის ელჩის შეფასება-პოზიცია?

**დიახ, ლაპარაკი საქართველოში აშშ-ის ელჩის ჯონ ბასის შეფასება-პოზიციაზე მოგახსენებთ, რომელიც არც ერთ ნაციონალურ არხს არ გადაუცია იმის მიუხედავად, რომ იგი ჩვენში მუდმივად ტელეინტერესის ობიექტია. თუმცა, როცა იგი საქართველოში მედიის არაობიექტურობასა თუ არადემოკრატიულობაზე საუბრობს, მაშინ...**

რადიო „თავისუფლების" ინფორმაციით, ჯონ ბასი გორში „ტელეკომპანია „თრიალეთის" ჟურნალისტებს დახურულ კარს მიღმა შეხვდა. ქართველმა ჟურნალისტებმა ამერიკის ელჩს ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის ფაქტებზე უამბეს. ამერიკის ელჩმა კი პასუხად თქვა:

**„ვფიქრობ, რომ ქართული მედიის მდგომარეობა ჯერ კიდევ სამუშაო პროექტის სტადიაზეა: მრავალფეროვანი შეხედულებები გამოითქმის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საკითხები ობიექტურად შუქდება, ამა თუ იმ არხზე თუ გადაცემაში შეხედულებების სპექტრია წარმოდგენილი. არის საგამოძიებო ჟურნალისტიკის ნაკლებობა, რომელიც გააშუქებდა მთავრობის ქმედებებს ან მთავრობისა და ბიზნესის ისეთ კავშირებს, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს დემოკრატიზაციაზე ცუდად აისახება".**

ბასის შეფასება ქართული მედიის შესახებ სკანდალურად ცნობილი ინტერნეტ-რესურსის ვიკილიკსის მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ საიდუმლო მასალაშიც არის აღნიშნული. „ინტერპრესნიუსმა" 8 დეკემბერს საზოგადოებას ამ საიდუმლო წერილის შემოკლებული ვერსია შესთავაზა.

**„ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პოლარიზებულ — პროსახელისუფლო და ოპოზიციურ პოლიტიკურ მოსაზრებებს ასახავს. მოსახლეობის უმრავლესობისთვის ინფორმაციის მთავარი წყარო საერთო ნაციონალური სატელევიზიო არხებია. სატელევიზიო ინფორმაციის შინაარსი შეზღუდულია, რის გამოც მოქალაქეთა დიდ ნაწილს მიმდინარე პრობლემებსა და კონფლიქტებზე არასრული ინფორმაცია აქვს"**, — წერს ჯონ ბასი.





კიდევ ერთი ციტატა დახურული დიპლომატიური გზავნილიდან - **„მედიაბაზარი ძალიან პატარაა და მუდმივად ფინანსური პრობლემები აქვს. ჟურნალისტებს ძალიან ცოტას უხდიან და მათ თვითცენზურისკენ აქვთ მიდრეკილება."**

რამდენად იზიარებენ ამერიკელი დიპლომატის შეფასებას ქართველი ჟურნალისტები და მედიამკვლევარები. „საზოგადოებრივი მაუწყებლის" გადაცემა „აქცენტების" ავტორი და წამყვანი ეკა კვესიტაძე:

**„ძალიან მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი განცხადებაა და ალბათ არის გარკვეული მესიჯი ხელისუფლებისთვისაც და ცალკეული ტელეკომპანიებისთვისაც. ძალიან კარგი იქნება, თუ ეს მოსაზრება იქნება მიღებული მხედველობაში და მედიის პროგრესი ამ მიმართულებით მოხდება. ბასის განცხადება იმდენად გამოხატავს ჩემს პოზიციას, რომ მზად ვარ, მის გაცხადებას ხელიც კი მოვაწერო".**

„აქცენტების" წამყვანი აქცენტს ქართულ მედიაში ობიექტურობის ნაკლებობაზე აკეთებს — **„არის ობიექტურობის ნაკლებობა, ძალიან საჭიროა ჟურნალისტური გამოძიება, პრაქტიკულად ნაციონალურ არხებზე კი არა, არანაციონალურ არხებზეც კი არ არის პროფესიული საგამოძიებო პროგრამები, რომლებიც პრობლემებს სხვა კუთხით დაგვანახებდნენ. ბუნებრივია, ეს პრობლემები არსებობს ყველა ხელისუფლების პირობებში და ჩვენს შემთხვევაშიც, ეს პრობლემები ნამდვილად იარსებებს".**

კითხვას, რატომ არ გავიდა ბასის ეს განცხადება არც ერთ ნაციონალურ არხზე, კვესიტაძემ უპასუხა — **„ალბათ უნდა დაურეკოთ და ჰკითხოთ, რატომ არ გააშუქეს ბასის ეს განცხადება. ნამდვილად გასაშუქებელი ფაქტია, ხომ ვიცით, როგორ არჩევენ გასაშუქებელ მასალას და რატომ არ მოხვდა პრიორიტეტებში, გაუგებარია".**

მედიამკვლევარი ნინო დანელია, ეკა კვესიტაძის მსგავსად, აბსოლუტურად იზიარებს ჯონ ბასის შეფასებას და მედიაში არსებული პრობლემების ანალიზს გვთავაზობს:

**„ქართული მედია, როგორც სატელევიზიო, ისე პრესა, არის სრულიად დაუბალანსებელი. მიუხედავად იმისა, რომ პრესაში გაცილებით მეტი თავისუფლებაა, აქაც ძალიან დაბალია ჟურნალისტური პროფესიონალიზმის დონე. ეს ბევრი მიზეზით არის განპირობებული. თუმცა მთავარი მიზეზი ისაა, რომ მედიის შემოსავლები გაკონტროლებულია. განსაკუთრებით ბოლო წლებში ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მედიის შემოსავალი კონტროლდება. მიაქვთ ფული იქ, სადაც აშკარა პროსახელისუფლო პოლიტიკა ტარდება და ლოიალური დამოკიდებულებაა ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების, რეფორმების, პროგრამების მიმართ".**

შესაძლოა თუ არა ბასის მკვეთრ შეფასებას მედიაში ცვლილებები მოჰყვეს? დანელია ამ კითხვის პასუხად ამბობს: **„აი, ხელისუფლებისთვის ეს ნამდვილად უნდა იყოს სიგნალი. იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს მთავრობა ძალიან მგრძნობიარეა საერთაშორისო შეფასებების მიმართ, შეიძლება მომავალ წელს ამან დადებითი შედეგი გამოიღოს და ხელისუფლებამ დაიწყოს რაღაც მედიასაშუალებების დათმობა".**

დანელია ერთ-ერთი დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგებს იხსენებს, რომელთა მიხედვითაც, ქვეყნის მოსახლეობის 60 პროცენტზე მეტს უნდა საგამოძიებო ჟურნალისტიკის ნახვა ტელეეთერში. **„ამგვარი ჟურნალისტიკის აუცილებლობა იმ ეთიკის კოდექსებითაც არის განსაზღვრული, რომელთა საფუძველზეც მუშაობს საზოგადოებრივი მაუწყებელი, ამიტომაც არ მესმის, თუ არსებობს საზოგადოებრივი დაკვეთა ასეთი ტიპის მასალაზე, რატომ არ უნდა გვქონდეს ასეთი გამოძიება საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, თუ რა თქმა უნდა, ამას არ ეწინააღმდეგება პოლიტიკური ნება. ძალიან გამიჭირდება იმის თქმა, თუ რა კონკრეტული შედეგი ექნება ბასის ამ განცხადებას. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცი, რომ მედიასაშუალებები გაატარებენ ამ განცხადებას და არ გააშუქებენ. შესაძლოა, მათ ინფორმაციაც არ გაუშვან ამის შესახებ, დავაკვირდეთ ახალ ამბებს"**, — გვითხრა დანელიამ.

**მალხაზ ჭკადუა,**
**„ინტერპრესნიუსი"**

წკეპლიკები

# ისედაც პირქუშ-ჯავრიანს კიდევ მე მაწერ ჯარიმას?..

**ჩვენზე ხანდაზმულთ ემახსოვრებათ სიმღერა, ბავშვობისას სკოლაში ნაძვის ხესთან რომ გვამღერებდნენ: „ტანწერწეტა ნაძვის ხე ათასფერად ბრჭყვიალებს..." თანამედროვე ნაძვის ხე, ისევ ტანწერწეტად დარჩენილი, თურმე ათას ლარად „ჭრიალებს".**

დიახ, ათასლარიანი ჯარიმა დაუკანონებიათ ჩვენს კანონების მაფიცარ კანონმდებლებს ნაძვის ხის თვითნებური მოჭრისათვის. არადა აქამდე თურმე 50 ლარიდან 100 ლარი ყოფილა მხოლოდ (ალბათ ხის სიმაღლისდა მიხედვით). ახლა ფიქსირებული ჯარიმა დაუწესებიათ — 1000 ლარი და მორჩა! დიდია ნაძვი, პატარაა — სულ ერთია. ჯარიმა გაზარდეს 10-ჯერ და 20-ჯერ!

სიგარეტის გადაგდებაზე 50-ლარიანი ჯარიმა როგორია! ეტყობა, გადასახადების გაზრდაში ისე გავარჯიშდნენ და ისე ეშხში შევიდნენ მერიაა თუ საკრებულოა თუ პარლამენტია, რომ დაუფიქრებლად „ისვრიან" წულებიან „მრგვალ" საჯარიმო რიცხვებს. სწორად გამიგონ — სიგარეტის ნამწვის გადაგდების კი არა, სიგარეტის მოწევისაც სასტიკი წინააღმდეგი ვარ და ნაძვის ხის თვითნებური მოჭრაც ცოდვა მგონია, ოღონდ 1000-ლარიან ჯარიმას რომ აღგენ, ვისაა, რომ გადაახდევინებ. ზომიერების, რეალობის გრძნობა სულ დაკარგე? მინისტრებსა და პარლამენტარებს კი შეუძლიათ 1000 ლარის დადება, მაგრამ იმათ ხომ ვერ წაასწრებ ნაძვის ხით „ხელში"?..

შემდეგი ჯარიმის შემოღებას საკმაოდ სოლიდური ფულადი გამოხატულებით, საჯარო ადგილებში (მაგალითად, სკოლებში) დამთქნარებისა და ცხვირის დაცემინებისთვის ველოდეთ. ფანჯი შენ და ჩარი მე, ოღონდ ნუ მაჯარიმებ...

# კვლავ აპირებთ გაუქმებას? არ დაგაკლებთ, აუ, ქებას...

**ტელეეკრანიდან ისევ „გაჟღერდა" რაციონალიზატორული წინადადებები, ოღონდ ყური ველარ მივატანე რომელი ორგანიზაციებისგან — სამთავროებისგან თუ არასამთავროებისგან...**

ამჯერად ლაპარაკი იყო ძველი სამოქალაქო დღესასწაულების გაუქმებასა და ახლების შემოღებაზე. აღარ გვინდა, თურმე, 8 მარტი — ქალთა საერთაშორისო დღე, 3 მარტი — დედის დღე (დედინაცვლის დღით ხომ არ უპირებენ ჩანაცვლებას?), გამარჯვების დღე 9 მაისი ერთი დღით უკან უნდა გადმოიწიოს და ასეთად 8 მაისი უნდა გამოცხადდეს და ა.შ. (აშშ-დან ხომ არ მოდის ეს შემოთავაზებები ნეტავ?); იმიტომაო, რომ ეს დღესასწაულები საბჭოური რეჟიმის გადმონაშთებიაო (ერთხელაც კალამს შევიცვლი და რად მოსდგომიან კომუნისტურ წყობილებას ასე, თითქოს უკეთესი ცხოვრება დაეყენებინოთ, — ამაზეც დავწერ...).

ის სამთავროები თუ არასამთავროები ახალი უქმეების დაწესებას უჭერენ მხარს და რახან ასე მოწადინებული არიან, რამდენიმე იდეას მივაწოდებ დაუმადლებლად: 12 აგვისტო იყოს ცხინვალის ომში გამარჯვების დღე (ხომ იტაშფანდურეს 2008 წლის 12 აგვისტოს რუსთაველის გამზირზე ამ მიზეზით); 23 ნოემბერს ვუწოდოთ დიდი ნოემბრის ნაცური რევოლუციის დღესასწაული; 21 დეკემბერი „გავაუქმოთ", ვითარცა სტალინის დაბადების დღე და აღვნიშნოთ, როგორც ალასანია (ირაკლი) — სააკაშვილის, ამ ორი დიდი პოლიტიკოსის, დაბადების დღე, შემოკლებით დავარქვათ „ალსა" და ცეკვისას შემოვძახოთ „ასა"! კიდევ გამოვჩხრიკოთ ჩვენი პრეზიდენტის ორი ინაუგურაციის თარიღები (მე აღარ მახსოვს) და ვუწოდოთ „მიშას პირველი ინაუგურაციის დღე" და „მიშას მეორე ინაუგურაციის დღე"...

უთუოდ სხვასაც ექნება მსგავსი იდეები და წამოაყენოს რა! „იდეებ რა უყოო" — ამ სენით მარტო ის ცნობილი კაცი ხომ არაა დაავადებული...

**ლუკა გორგაძე**

**P. S. მაგრამ, ამდენი სამუშაო ადგილისა თუ შტატის გაუქმება არ კმაროდა, ახლა დღესასწაულებს რომ უპირებენ მოღმოდას? სადაური წესიაო? — იკითხავდა არაერთი მკითხველი. — სადაური წესია და აქაური წესიაო — უპასუხებდა ასინეთა...**

**ლ.გ.**

ინფორმაცია

# შეხვედრა რუსეთის საპატრიარქოში

**„დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილთან შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გააცნო.**

**როგორც ბურჯანაძემ საპატრიარქოში უწმინდესთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მომხდარი ფაქტების შესახებ დეტალური ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს და გამოიყენოს ის შესაძლებლობა, რომელიც რუსეთის პატრიარქის მხრიდან საქართველოსთან მიმართებაში გაკეთდა.**



**— რუსეთის პატრიარქთან შეხვედრაზე მე დავაყენე ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მომხდარი ფაქტის საკითხი, რის შესახებაც რუსეთის პატრიარქმა ბრძანა, რომ მას განსხვავებული ინფორმაცია ჰქონდა.**

**რუსეთის პატრიარქი დაინტერესდა და ილორის ეკლესიაში მომხდარი ფაქტების შესასწავლად სამუშაო ჯგუფის შექმნას დამპირდა. მან აღნიშნა, რომ მათთვის მიუღებელია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ხელყოფა და ქართულ მხარეს სთხოვა, რომ გამოაქვეყნოს დეტალური ინფორმაცია იმ ფაქტებზე, რომელიც საქართველოს კულტურის სამინისტროს აქვს, რათა მოხდეს ამ ფაქტების დეტალურად შესწავლა და შესაბამისი რეაგირება, — განაცხადა ბურჯანაძემ და დასძინა, რომ მას იმედი აქვს, ხელისუფლება რუსეთის საპატრიარქოს შესაბამის ინფორმაციას პირდაპირ მიაწვდის.**

ჯი-ეიჩ-ენი

თვალსაზრისი

# ცვლილებების არ გვეშინია

*ბოლო პერიოდში, პოლიტიკური უმცირესობის თითქმის ყველა ლიდერი ხმამაღლა აცხადებს, რომ „ბოლო ნაბიჯის“ დროს გადამწყვეტი სწორედ ცვლილებებისთვის მომავალი თაობის მზადყოფნა გახდება... მიზეზი მათი მხრიდან „ნებისმიერ რისკზე“ უყოყმანოდ წასვლაა, რაც ცვლილებებს თან ახლავს ხოლმე და რაც უკვე მომწიფებულ პოლიტიკოსებს უძნელდებათ...*

*უამრავი უშედეგო აქციისა და რადიკალური ნაბიჯის შემდეგ ოპოზიცია ერთ დასკვნამდე მივიდა - არსებული ხელისუფლების შეცვლა პროცესში ახალგაზრდობის მონაწილეობის გარეშე ვერ მოხდება. სწორედ ამის გამო, ბოლო პერიოდში, პოლიტიკური უმცირესობის თითქმის ყველა ლიდერი ხმამაღლა აცხადებს, რომ „ბოლო ნაბიჯის“ დროს გადამწყვეტი სწორედ ცვლილებებისთვის მომავალი თაობის მზადყოფნა გახდება... მიზეზი მათი მხრიდან „ნებისმიერ რისკზე“ უყოყმანოდ წასვლაა, რაც ცვლილებებს თან ახლავს ხოლმე და რაც უკვე მომწიფებულ პოლიტიკოსებს უძნელდებათ...*



*როგორია ცვლილებებთან დაკავშირებით თანამედროვე ახალგაზრდობის განწყობა, მზად არიან თუ არა ისინი იმოქმედონ ნებისმიერი რისკის ფასად და ზოგადად, რაში ხედავენ მომავალი თაობის უმთავრეს პრობლემებს, „ჯი-ეიჩ-ენი“ „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატების“ ახალგაზრდული ფრთის ლიდერს სულხან ღლონტს ესაუბრა...*

**— სულხან, როგორ ფიქრობთ, რა არის თანამედროვე ახალგაზრდობის უმთავრესი პრობლემა?**

— იმ კვლევებზე დაყრდნობით, რომელიც ჩვენ გვაქვს, პრობლემები შეეხება როგორც სოციალურ სფეროს, ასევე ადამიანის უფლებებს. სია საკმაოდ დიდია, დაწყებული გაძვირებული სწავლის საფასურითა და დასაქმების პრობლემით — დამთავრებული ნარკომანიითა და ალკოჰოლიზმით. თუმცა ამ კვლევებში ყველაზე საგანგაშო არის ის, რომ ათი გამოკითხულიდან, შვიდი ფიქრობს, რომ საქართველოს საზღვრებს თუ დატოვებს, უკეთესი პერსპექტივები ექნება. ახალგაზრდები მომავალს საკუთარ სამშობლოს არ უკავშირებენ და ქვეყნიდან წასვლაზე ფიქრობენ.

**— თქვენი აზრით, ამის მიზეზი რა არის?**

— როცა ახალგაზრდები ქვეყანას მასობრივად ტოვებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ აქ არსებული პრობლემების დაძლევა მათი რესურსებით შეუძლებლად მიაჩნიათ. ამას ემატება ის რთული სოციალური და პოლიტიკური ფონი, რომელშიც ჩვენს მოქალაქეებს უწევთ ცხოვრება. საზოგადოება ამ პრობლემებთან საბრძოლველად უკვე დაიყო — ნაწილი გაერიდა ან აპირებს გაერიდოს, ნაწილი შეეგუა არსებულ რეალობას, ნაწილმა კი გადაწყვიტა არ დანებდეს და შეცვალოს იგი. რაც შეეხება ნარკომანიასა და ალკოჰოლიზმის კატასტროფულ მაჩვენებელს, ეს გამოწვეულია მასობრივი უიმედობითა და ნიჰილიზმით.

**— რამ გამოიწვია მასობრივი უიმედობა?**

— იმედგაცრუება მოიტანა ბოლო წლებში მოქალაქეების მარცხმა. საქართველოს საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას ჰქონდა ემოციური თანხმობა იმ პროცესებისადმი, რაც 2003 წლის ნოემბერში განვითარდა, მათ შორის, ბუნებრივია, ახალგაზრდებსაც, მაგრამ რევოლუციით ნაციონალებმა მიიღეს ხელისუფლება, ხოლო მოქალაქეებმა — ავტორიტარიზმი, რომელმაც ჩვენი უფლებების ხარჯზე დაიწყო საკუთარი მანკიერი სისტემის განმტკიცება. პოლიტიკა შევიდა ყველგან. ამით მომავალ თაობას გაუჩნდა უპერსპექტივობის განცდა. რთულია, როცა აცნობიერებ, რომ შენს ქვეყანას მართავს რეჟიმი, რომ არ არსებობს არც ერთი ინსტიტუცია, რომელიც შენი, როგორც მოქალაქის უფლებებს იცავს. ავტორიტარიზმი, როგორც უსამართლო პოლიტიკური სისტემა დიდ რესურსებს მოითხოვს, ამიტომაც ხელისუფლება უკვე გადასულია ადგილობრივი ბიზნესის მასობრივ ტერორზე, რაც დამატებითი სამუშაო ადგილების დაკარგვას იწვევს. ეს კიდევ უფრო ამძიმებს მოქალაქეების ყოფას. ასე რომ, 2011 წელი ამ კუთხით უმძიმესი იქნება და კიდევ უფრო მეტი უმუშევარი და შესაბამისად, იმედგაცრუებული გაჩნდება იმ უსამართლო სოციალური პოლიტიკის შედეგების გამო, რომელსაც ხელისუფლება აწარმოებს.

**— რამდენჯერმე ახსენეთ უსამართლობა. ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი, რა მიგაჩნია ამ უსამართლობის მიზეზად?**

— მთავარი მიზეზი მაინც არიან ხელისუფლების სათავეში მყოფი უსამართლო ადამიანები, მაგრამ გარკვეული პასუხისმგებლობა მოქალაქეებზეც მოდის, რადგან, როცა შენს ირგვლივ უსამართლობას ხედავ და ეგუები, შენც მისი თანამონაწილე ხარ.

**— „თავისუფალი დემოკრატები“ რას აკეთებთ იმისათვის, რომ მოქალაქეების, კერძოდ ახალგაზრდების მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალოს, მხოლოდ საარჩევნო კოდექსზე საუბრით რამდენად დაგიჭერენ მხარს?**

— ჩვენ არ ვსაუბრობთ მხოლოდ საარჩევნო კოდექსზე, ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესს ვეხმაურებით და სხვებისგან განსხვავებით, ყოველთვის გვაქვს გეგმა, როგორ უნდა შევცვალოთ არსებული, უკვე აუტანელი რეალობა. იმისათვის, რომ ეს მოხდეს, აუცილებელი პირობაა სამართლიანი არჩევნები. არჩევნების ობიექტურობა იმდენჯერ არის ნახსენები ჩვენს საზოგადოებაში, რომ უკვე ამ სიტყვებმა მორალური ცვეთა განიცადა და ვიცით, რომ მოქალაქეების დიდი უმრავლესობა ამ პროცესების მიმართ გულგრილია. მაგრამ უაზრობა იქნებოდა ასეთი მნიშვნელოვანი საკითხისთვის არ მოგვეკიდა ხელი იმის გამო, რომ განსახორციელებლად რთულია. დამერწმუნეთ, ეს თემა ახალგაზრდებში პოპულარული ხდება, ჩვენი თაობა აცნობიერებს, რომ შეცვლილი კოდექსი ნიშნავს მეტ შანსს და მეტ პერსპექტივას არსებული შეცვალო არჩევნების გზით და აირჩიო სასურველი ისე, რომ ქვეყანაში არ მოხდეს საზოგადოების პოლარიზება და გაუთავებელი დაპირისპირებები. იმას, რასაც „თავისუფალი დემოკრატები“ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან ერთად ვაკეთებთ (საარჩევნო კოდექსზე მუშაობას ვგულისხმობ), არის კონკრეტული საქმე, რომელიც საქართველოს მომავალს უფრო უსაფრთხოს გახდის. ჩვენი გზა მისცემს მოქალაქეებს მრავალფეროვანი არჩევანის საშუალებას იმის გარანტიით, რომ მათი არჩევანი იქნება დაცული.

**— რამდენად არიან დაინტერესებულნი ახალგაზრდები ცვლილებებით?**

— საქართველოში 20 000-ზე მეტი პატიმარია, საქართველოს ათიათასობით მოქალაქეს კი პირობითი სასჯელი აქვს. 1 800 000 სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებია, 250 000 კი ნარკოტიკების მომხმარებელი და ამ უმძიმესი პრობლემების წინაშე ხელისუფლება უძლურია. ერთადერთი, რაც მას შეუძლია, არის რეპრესიების ეფექტიანად გატარება — ეს ყოველივე უნდა შეიცვალოს და ვისაც ცვლილებები არ აშინებს, როგორც წესი, ეს სწორედ ახალგაზრდობაა ყველა ქვეყანაში. ამას აქვს თავისი მიზეზი: ცვლილებები ნიშნავს რისკს და ეს რისკი არ უძნელდებათ ახალგაზრდებს. როცა მმართველი ძალა ვერ აძლევს ახალგაზრდას რეალიზების საშუალებას და უფრო მეტიც, უწესებს პოლიტიკურ ჩარჩოებს, ერევა მის პირად ცხოვრებაში, ბუნებრივია, იგი მიუღებელი და შესაცვლელი ხდება. ხშირად, როცა ახალგაზრდები ვიკრიბებით, ცვლილებების აუცილებლობაზე ვთანხმდებით იმის გამო, რომ თუ არსებული პროპაგანდის პირობებში გაგრძელდა ცხოვრება, ქვეყანაში აღარ დარჩება თავისუფლად მოაზროვნე მოქალაქეთა მთელი თაობები. ბიზნესით დაინტერესებულმა მოქალაქემ იცის, რომ საქართველოში ბიზნესის კეთებამ აზრი დაკარგა, პოლიტიკით დაინტერესებულმა მოქალაქემ იცის, რომ თუ ამ არჩევნებზე ისევ იმძლავრებს „ნაციონალური მოძრაობის“ პროპაგანდა ამომრჩეველზე და მოქალაქეთა ნიჰილიზმი, საქართველოს განვითარების შანსი პრაქტიკულად აღარ აქვს. ეს ხალხი ქვეყნიდან წავა, ისევე როგორც ყველა ავტორიტარტული ქვეყნიდან ხდება ინტელექტისა და ენერგიის გადინება და ქვეყანა რჩება ავტორიტარებს და მათ მხარდამჭერებს. ჯანსაღი ნაწილი მიდის ქვეყნიდან იმის გამო, რომ ისინი არსებულ რეალობაში ვერ ხედავენ ფასეულობებს, რომელსაც ქვეყნის მომავალი უნდა დაეფუძნოს.

**— როგორია ახალგაზრდა „თავისუფალი დემოკრატების“ სტრატეგია?**

— ხელისუფლებამ ყველა ჩვენგანს გვითხრა, რომ აპირებს სამუდამოდ დარჩეს სათავეში, ახლა ჯერი ჩვენზეა — ან შევეგუებით ჩვენს ქვეყანაში ამ რეჟიმს, ან ვცვლით მას დემოკრატიულით. შემდეგ არჩევნებზე მოქალაქეებს არჩევანის გაკეთება მოუწევთ არა მხოლოდ სოციალურ პროგრამებს შორის, არამედ პოლიტიკურ მსოფლმხედველობებს შორის. კომუნიზმი, როგორც პოლიტიკური სისტემა, დაშლილია, დასანგრევი დარჩა პოსტკომუნისტური მენტალიტეტი, რომელიც გულისხმობს იმას, რამდენიმე კაცი უნდა მართავდეს ქვეყანას საზოგადოების ინტერესების გაუთვალისწინებლად.

მომავალი არჩევნები გადამწყვეტი იქნება. ჩვენ თავი უნდა დავაღწიოთ უკვე პოსტკომუნისტურ მენტალიტეტს და შევჯერდეთ ძირითად ფასეულობებზე, რომელსაც ვერც ერთი მომავალი ხელისუფალი ვეღარ შეეხება. ახალგაზრდა „თავისუფალი დემოკრატების“ სტრატეგია იმ გამოწვევებიდან გამომდინარეობს, რომელზეც მოგახსენეთ, ჩვენი არჩევანი ნათელია, ჩვენ ცვლილებების ავანგარდში ვიქნებით და ვეცდებით, ეს დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დავარწმუნოთ ცვლილებების აუცილებლობაში. ამისთვის გვაქვს უამრავი შეხვედრა საუნივერსიტეტო ქალაქებსა და საქართველოს რეგიონებში, ვხვდებით ახალგაზრდებს, რომელთა დიდი ნაწილი გვიერთდება. ჩვენ გვყავს პოპულარული ლიდერი ირაკლი ალასანია, გვაქვს ცვლილებების ყველაზე რეალური გეგმა და გვაქვს ცვლილებებისთვის საჭირო ენერგია.

**— ნათქვამია „საქმემამ შენმანო“..., ის რაზეც თქვენ საუბრობთ, ჯერ კიდევ განსახორციელებელია...**

— ყველაფერ ამის განხორციელება უკვე დაწყებულია და არ დასრულდება მანამ, სანამ საბოლოოდ მიზანი არ იქნება მიღწეული.

**ესაუბრა
ლელა ბაღდავაძე**

წერილი რედაქციას

# ბატონო მინისტრო, შეიარეთ 150-ე საჯარო სკოლაში!

**პატივცემულო რედაქციავ,**

**ძალიან ბევრი ვიფიქრე დამეწერა თუ არა ეს წერილი, მაგრამ ყველაფერზე გაჩუმებამ სადამდე მიგვიყვანა — ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ.**

**მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით ეს ღია წერილი გავუგზავნო „ფრიად წარმატებული“ განათლების „ფრიად წარმატებულ“ მინისტრს ბატონ შაშკინს.**

ბატონო მინისტრო, ყველას, ყველას „გვჯერა“ თქვენი წარმატებული რეფორმებისა, მაგრამ ერთი რამ (მხოლოდ ერთი?ძ გვაკვირვებს. — როგორ მოხდა, რომ თქვენი უწყების რომელიმე წარმომადგენელს თქვენს გვერდით, ყურისძირში, დგებუაძის ქუჩაზე მდებარე 150-ე საჯარო (თუ საჯავროძ სკოლაში არავის შეუვლია!?.

სკოლა, რომ სარემონტოა და დანგრევის პირას არის მისული და რომ თაგვები ზოგჯერ გაკვეთილების დროს ესტუმრებიან ბავშვებს, — ეს კიდევ არაფერი, მაგრამ აუტანელია ის, რომ შენობაში მოშლილია წყალსადენის და კანალიზაციის ძსელი, ბავშვებს არა აქვთ ხელის დაბანის საშუალებაც კი. მთელი შენობა, უკაცრავად პასუხია, — ყარს ფეკალური სუნით; პირდაპირი გაგებით.

თქვენ როგორ გეკადრებათ, მაგრამ თქვენი უწყებიდან იქნებ ვინმემ მხოლოდ რამდენიმე წუთით შეიაროს ამ სკოლაში (იქვე არ არის?ძ და დარწმუნდებით ზემოაღნიშნულის სისწორეში. ვიმეორებ, მხოლოდ რამდენიმე წუთით.

თქვე კარგი დედმამიშვილო, რისთვის გინდათ ინგლისური ენის უცხოელი მასწავლებლები და მანდატურები, თუ ბავშვების ჯანმრთელობა არ გაწუხებთ?!

გვარს, რა თქმა უნდა, ვერ მოგახსენებთ, — ჩემი შვილი მალე დაამთავრებს სწავლას, მაგრამ რა ეშველება პატარებს?! დიდი იმედი არ მაქვს იმისა, რომ ამ წერილმა სათანადო შედეგი გამოიღოს, მაგრამ მაინც...

უღრმესი პატივისცემით, თქვენი მოსწავლის მშობელი.

პერსპექტივა

# იტალია-საქართველოს თანამშრომლობის მემორანდუმი

**ამ დღეებში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, კერძოდ კი მისი სოფლის მეურნეობისა და ეკოტურიზმის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას ჩაეყარა საფუძველი — გაფორმდა ამ მიმართულებით იტალია-საქართველოს პერსპექტიული თანამშრომლობის მემორანდუმი.**

ეს დიპლომატიური დოკუმენტი, რომელიც ქვეყნის ხელისუფლების თვალსაზრისს გამოხატავს, გაფორმდა საქართველოს მხრიდან: საინჟინრო აკადემიის (პრეზიდენტი — პროფესორი არჩილ ფრანგიშვილიძ, საბაგირო და მონორელსური ტრანსპორტის ასოციაციის (თავმჯდომარე — პროფესორი შოთა ორჯონიკიძეძ და მისი საბაზო ორგანიზაციის შპს „საქსპეცტრანსის“ (დირექტორი — დოქტორი ნოდარ წვერიკმაზაშვილიძ, და იტალიის მხრიდან: რესპუბლიკის პერსპექტიული ტექნოლოგიების კვლევების, დამუშავებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრ „არგონავტები-213“ (პრეზიდენტი — დოქტორი დიონიჯ კარბონიძ.

მემორანდუმით გათვალისწინებულია, რომ საქართველოს მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარებისთვის შესრულდეს ეკოლოგიურად სუფთა სპეციალური საბაგირო და მონორელსური ტრანსპორტის სისტემების შექმნისთვის საჭირო სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო, საპროექტო-საძიებო და დანერგვითი სამუშაოები უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით. ნავარაუდევია აგრეთვე იტალია-საქართველოს ერთობლივი საწარმოს შექმნა და ინვესტიციების მოზიდვა წარმოებული პროდუქციის რეალიზაციით შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის — ბისეკის წევრ ქვეყნებში, რაც დიდად შეუწყობს ხელს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობისა და ეკოტურიზმის განვითარებას და, საბოლოო ჯამში, საქართველოში შექმნის კონვერტირებადი ვალუტის შემოდინების დამატებით სტაბილურ წყაროს, დაასაქმებს შესაბამისი კვალიფიკაციის სამეცნიერო-საინჟინრო და მუშა პერსონალს მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

ამასთან ერთად, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გაისისთვის ერთობლივად მომზადდება ზემოაღნიშნული ღონისძიებებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია.

**ზურაბ ლომიძე**

ვაი ჩვენს პატრონს!

*ქვესათაურში წინწკლებით გამოყოფილ ამ „იდუმალი“ ფრაზით დასათაურებულ წერილს ა. წ. 17 დეკემბრის გაზეთ „24 საათში“ წავაწყდი. ამ ბოლო ხანს იგი ქეთევანის სახელით გამოუქვეყნებია აქამდე ყველასთვის ქეთუსიად ცნობილს. დავიწყოთ იმით, რომ ზემოთ ხსენებული გაზეთი, ვითომ კერძო მედიაჰოლდინგი, სინამდვილეში კი ნაცების მიერ უხვად დაფინანსებული, „ყველასთვის ცნობილი ფარული“ მეხოტბე და ტრუბადურია საკუთარი დამფინანსებელი ხელისუფლებისა.*



ეს გაზეთი, საკუთარი სახელიდან გამომდინარე, მართლაც 24-საათიან რეჟიმში ეწევა ე. წ. ლიბერასტული ღირებულებების პროპაგანდა-ტირაჟირებას, რათა იქნებ როგორმე გაგვანათლოს, თვალები აგვიხილოს ჩამორჩენილ, მართლმადიდებელ, უფრო სწორად, მართლმადიდებლობის ერთგულების გამო ჩამორჩენილ, ბნელ ქართველებს.

სწორედ ამ გაზეთის ფურცლებზე იბეჭდება რეგულარულად ყოველივე ქართულის, ტრადიციულის, ეროვნულის, იგივე მართლმადიდებლობის განმქიქებელი, ან ყოველივე ამის საპირისპიროს მაქებარი პასკვილები, როგორც წესი ტოლერანტობის, ლიბერალიზმის „საწებლის“ თანხლებით.

ამ ე. წ. გაზეთში ამოვიკითხე თავის დროზე ქართველი ლიბერასტების ბელადის, „ფილოსოფოს“ ნოდარ ლადარიას ნაბოდვარი, რომლის მიხედვითაც „ჯარისკაცის მამა“ თურმე იგივე პათოსის მატარებელი ფილმია, როგორისაც ალექსანდროვის „მხიარული ახალგაზრდები“, თავად გოდერძი მახარაშვილი კი, არც მეტი, არც ნაკლები, მაგდანას ვირი ყოფილა.

აქვე უწოდა ქართველი ხლისტების მამამთავარმა, გაყინულმზერიანმა გიგი თევზაძემ 2003, ანუ „ვარდების რევოლუციამდელ“ საქართველოს რესტორანი, ქართველებს კი — გრუზინები, რაც იმ დღიდან ჩემთვის ნაღდი, ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ქართველის სინონიმი გახდა.

ქეთუსია იგნატოვასაც არაერთხელ დაუმახსოვრებია ჩვენთვის თავი ამ გაზეთიდან „პროგრესული“ ლიბერასტული ლათაიებით. და იგი აგერ ახლაც „24 საათის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ზემოთ ხსენებული წერილით გამოეხმაურა ამას წინათ ეკა ხოფერიას გადაცემა „აუდიტორიაში“ განხილულ ე. წ. სექსუალურ უმცირესობათა თემას. ანუ ლესბოსელებს, მამათმავლებს, ბისექსუალებს და ათასი ჯურის სხვა, ღვთისგარეგან (სხვათა შორის, არა მხოლოდ მართლმადიდებლური ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე — ჭეშმარიტ მუსლიმებს, იუდეველებსაც ამ მხრივ ჩვენსავით „დაბნელებული“ აქვთ გონებაძ ადამიანებს გამოექომაგა, რომელთაც ჩვენ, „ჩამორჩენილი, ფაშისტი“ ქართველები, ერთ კრებსით სახელს, პედერასტებს ვეძახით დიდი ხანია.

ქეთუსია აბა რისი ქეთუსია იქნებოდა, მთავარი სათქმელის თქმამდე, რომ იტყვიან, თავი არ მოეკატუნებინა და ქართული, ეროვნული სამოსის ვითომცდა ქებით არ დაეწყო თავისი წერილი, რომლის სათაურია — **„ყველასთვის ცნობილი ფარული“.**

**„...რომ მამაკაცს ჩოხასავით მართლაც არაფერი ამშვენებს. კარგად შეკერილ, მაგალითად, შავ ჩოხაში დაბალი თითქოს მაღლდება, მსუქანი — წონაში იკლებს, ტანადი კიდევ უფრო ახოვანი, ვაჟკაცი უფრო ვაჟკაცური ხდება“** და ა. შ.

შემდეგ ეკა ხოფერიას ერთ-ერთ სტუმარს ციტირებს — **„ზვიად ძიძიგურმა ხაზგასმული მნიშვნელობითა და დატვირთვით მოგვახსენა, ჩოხის ტრადიციაში ზრდის შვილებსო“** და ამის შემდეგ „ოსტატურად“ მიადგება მთავარ სათქმელს — **„...ჰომოსექსუალიზმი და საზოგადოების მისდამი დამოკიდებულება კი, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც აქტუალურია და ჩოხაში აღზრდა და არ აღზრდა, სამწუხაროდ, ამას ვერ შველის“.**

ქვემოთ შევეცდები მაქსიმალურად ავერიდო ამ პასკვილის ციტირებას და ისე ვისაუბრო, წერილში გაბნეული „მარგალიტებიდან“ გამომდინარე.

**ჰოდა, ვაღიარებ ქალბატონო ქეთუსი, რომ მთელი მსოფლიოს მსგავსად, პედერასტები საქართველოში ყოველთვის არსებობდნენ და დღესაც არსებობენ, მაგრამ იცით, როგორ იყო? მასეთმა ბინძურებმა იმის მიუხედავად, ასეთებად სატანამ გააჩინა ისინი თუ შემდეგ იქცნენ ღვთისგაჩენილნი სატანის კერძებად (პედერასტობა სიბინძურეა!!!) ოდითგან მოყოლებული საკუთარი ადგილი იცოდნენ და დიახაც „ყველასთვის ცნობილს“ ფარულად აკეთებდნენ.**

ქეთუსიას მსგავს ლიბერასტებს კი უნდათ, რომ არანორმალური ნორმალურად, უჩვეულო ჩვეულად მივიღოთ და ამ ბინძურებთან ბრუდერშაფტი ყოველგვარი ზიზღის გარეშე დავლიოთ. **ანუ, რაკი ჩვენ, ზვიად ძიძიგურისა თუ დიმიტრი ლორთქიფანიძის მსგავსად, „მენტალური სიბნელის“ გამო ნაღდად არაფერი გვეშველება, ჩვენს შვილებს მაინც დაადგეთ მენტალური ნათელის მადლი, არა, ქალბატონო ქეთუსია?**

დიახაც, ქართული საზოგადოება არ არის მზად „ამ რეალობის“ — პედერასტობის მისაღებად! **ოღონდაც, ქეთუსიასგან თუ მის მსგავსთაგან განსხვავებით, სამწუხაროდ კი არა, საბედნიეროდ!** და თუ ქართველს, როგორც ერს, ეთნოსს გადარჩენა უწერია, ეს **„საბედნიეროდ“,** ჩვენს შვილებშიც უნდა გაგრძელდეს.

# „დაბრკოლება“ ევროპისკენ მიმავალ გზაზე?!

ანუ მართლაც „ყველასთვის ცნობილი ფარული“ ქეთუსია იგნატოვა... და არა მხოლოდ ქეთუსია...




ისე, თუ ტოლერანტობა უწინარესად პედერასტობის კულტივირებას, პროპაგანდას გულისხმობს, მეორე რიგში **„რა დააშავა“,** ვთქვათ, **პედოფილიამ,** რომლის გამო ატეხილმა სკანდალმა ამას წინათ ლამის წალეკა მთელი კათოლიკური სამყარო? იქამდეც კი, რომ თვით ახლანდელი მოქმედი პაპის კარდინალი ძმაც აღმოჩნდა ამ საქმეში ეჭვმიტანილი.

იმ კათოლიკური სამყაროსგან, რომელიც მისაბაძ მაგალითად დაგვისახეს იმავე | არხზე პირწავარდნილი ხლისტის დავით პაიჭაძის გადაცემა „დიალოგში“ თავად პაიჭაძემ, „ფილოსოფოსმა“ გიგა ზედანიამ და „თეოლოგმა“ ბექა მინდიაშვილმა — კათოლიკური ეკლესიისგან განსხვავებით, ერთადერთი ყოფილა მართლმადიდებელი ქართული ეკლესია, რომლისთვისაც მიუღებელია ე. წ. დასავლური ღირებულებები, რის გამოც იგი **(ქართული ეკლესია — ავტ.)** თურმე შემაფერხებელი ფაქტორია ევროპისკენ მიმავალი საქართველოსთვის!..

**რომელი ევროპისკენ, თქვე ხლისტებო! იმისკენ ხომ არა, სადაც ქალაქის მერების ოფიციალური პედერასტობა ჩვეულებრივი ამბავია? თუ იმ ამერიკისკენ, რომლის კონგრესმაც ახლახან გააუქმა ბილ კლინტონის პრეზიდენტობისას მიღებული კანონი, რომლითაც პედერასტებს ამერიკის ჯარში სამსახური ეკრძალებოდათ და მწვანე შუქი აუნთო ამერიკულ ჯარში (ანუ იგივე ნატოს ჯარებში) ჰომოსექსუალიზმის დაკანონებას?**

ახლა ვინმემ შეიძლება დამამუნათოს — ევროპა იქნება, აშშ თუ ზოგადად დასავლეთი, ეს კაცი (მეძ მათში პედერასტობის გარდა, რაიმე სიკეთეს ნუთუ ვერ ხედავსო?

**არა, ბატონებო! ხედვით როგორ ვერ ვხედავ, მაგრამ უბედურება, იცით, რა არის? ეს ჩვენი ვითომდაც ლიბერალები, როდესაც ე. წ. დასავლურ ფასეულობებზე იწყებენ ლაილაის, უწინარესად სწორედ პედერასტებზე, იეღოველებზე, მათი უფლებების დაცვაზე საუბრობენ, თავისუფალ სასამართლოზე, მედიასა თუ სხვა მართლაც ფუნდამენტურ ღირებულებებზე კი, რომლებზეც დგას დასავლური დემოკრატია, და რომელთა დეფიციტიც ჩვენში აშკარაა, საერთოდ სდუმან, ან მეათეხარისხოვან ასპექტში საუბრობენ.**

ეს არის და ეს, თორემ მართლაც **მომბეზრდა პედერასტებზე თუ სხვა ნაძირალებზე წერა-კითხვა — თავშიც ქვა უხლიათ!** იმის მიუხედავად, რომ ჩემნაირი ხალხისთვის ყოველთვის მიუღებელნი იქნებიან, იმავე **ეკა ხოფერიას გადაცემაში მიწვეული ოფიციალურად ცნობილი პედერასტისთვის არასოდეს არავის აუკრძალავს „პროფესიული“ საქმიანობა. ოღონდ, დიახაც, ფარულად და არა ასე ღიად და თავხედურად, როგორც ის ქორეოგრაფი ლერი ბექაური იქცეოდა.**

ბექაურზე გამახსენდა, უფრო სწორედ ქეთუსიას „საყვარელ ჩოხაზე“ — **ლერის რომ ჩოხა ჩააცვა, ისიც ვაჟკაცად წარმოგვიდგება? ცოტა ეჭვი მეპარება...**

ქეთუსიამ იმ გადაცემის ყველა სტუმარი ახსენა ივა კუზანოვის, ნანა ჩაჩუას ჩათვლით და შესაბამისი უარყოფითი კომენტარებით. ანუ, თუ ზვიად ძიძიგურის ან დიმა ლორთქიფანიძისგან არაფერი გაკვირვებია და მათი მენტალური სიბნელისგან მეტსაც არ ელოდა, ექიმმა კუზანოვმა და ფსიქოლოგმა ჩაჩუამ, აშკარად გაუცრუეს იმედები ქეთუსიას.

საერთოდ არ უხსენებია იმ გადაცემის 2 მონაწილე. **პირველი,** ლუბა ელიაშვილი, ალბათ, იმიტომ, რომ ისედაც ძალიან მოეწონა მისი პროპედერასტული პათოსი, და **მეორე,** მშვენიერი ბაია ამაშუკელი, რომელიც ცნობილია არა მხოლოდ როგორც გამოჩენილი პოეტის შვილი, არამედ, როგორც ხლისტების, პედერასტების „დიდად მოსიყვარულე“, და ამიტომაც „ისე დაჩეხეს და დაჭრეს“, რომ თითქმის ვერაფერი მოხვდა მისი ნათქვამიდან გადაცემაში.

**და ბოლოს:** საკუთარი წერილის P.S.-ში ერთ „სულის შემძვრელ“ ამბავს გვამცნობს ქეთუსია, თურმე, ნუ იტყვით და (მომყავს მისი ციტატაძ — **„...შემატყობინეს ერთი ჩემთვის და არამხოლოდ ჩემთვის, არამედ უამრავი ადამიანისთვის ძვირფასი მეგობრის გარდაცვალების ამბავი, რომელიც არასდროს მალავდა თავის განსხვავებულ სექსუალურ ორიენტაციას“.**

*არა, ქეთუსი! ასე ნამდვილად არ შეიძლება! ნეტა ვინ იყო ის „ცხონებული“? თანაც ასე, პირდაპირ რომ მოგვახალე, ცოტა რად არ შეგვამზადე მაინც! რა, გინდა, გული გაგვისკდეს ჩამორჩენილ, „მენტალურად ბნელ“ ქართველებს?..*

*თუ ელირსათ გეებს პარადის ჩატარება, იმედია, კოლონას სათავეში ქეთუსია ჩაუდგება იმ „უამრავი ადამიანისთვის ძვირფასი მეგობრის“ სურათით ხელში.*

დავით მხეიძე

გახარებულ „მესაჯდომეთა“ ლექსპრომტი თემაში

არ არსებობს უკვე ბილის
ის კანონი ნაკლიანი,
აწი ჯარში ერთად წავალთ
მეტ...კე და ტრაკ...ნი.

წკეპლიკა

# მდიდარი მონები

ხომ არ გეხამუშათ ეს გამოთქმა? ალბათ იტყვით, რომ ვცდები — სად ვნახე მდიდარი მონები? ვნახე და რა ვნახე. როგორ, თქვენ ვერ ხედავთ? ვერ ხედავთ პარლამენტში, სამინისტროებში, რაიონების თვითმმართველობაში და სხვა? ისინი სულ სხვა ტიპის მონები არიან, განსხვავებულნი ჩვენთვის ცნობილი მონებისგან, აჯანყებებს რომ აწყობდნენ თავიანთი ღირსების დასაცავად. ჩვენს მონებს, უფრო სწორად მიშას მქევლებს, ანუ Homo Mishicus-ებს არ სჭირდებათ ღირსების დაცვა, რადგან მათ ის არა აქვთ, ისინი მხოლოდ მიშასაგან ბოძებულ სიმდიდრეს იცავენ, გაყვირიან „მიშა მაგარია“. აჯანყებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, რადგან იციან მამა-მარჩენალის მიმართ, უბრალო უკმაყოფილების გამოხატვისთვის საშინელი რისხვა დაატყდებათ თავს.

ქართველო მონებო, ქვეყნის შემარცხვენელნო, უსაქმურებო, ცინიკოსებო, დასცინეთ პროფესიონალებს, ღირსეულ ადამიანებს, ზემოდან უყურეთ ნაგვის ბუნკერში საკვების მძებნელთ, იშენეთ სახლები, აგარაკები, იმოგზაურეთ, დაისვენეთ ფეშენებელურ სასტუმროებში, დრო ატარეთ ძვირად ღირებულ მეძავებთან, დატკბით უზრუნველი ცხოვრებით.

მოგეკითხებათ!

ლონდა მდივანი

ტკივილი

# ჩვენია ჩვენი სამშობლო თუ...

## ღია წერილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს გოგა (გიორგი) ხაჩიძეს, ეკონომიკის მდგრადი განვითარების მინისტრს ვერა ქობალიას

**ცნობილია, რომ საქართველოს ტყეები, მათ შორის კახეთისა, უმოწყალოდ იჩეხება და თითქმის განადგურებულია. ვიცით, რომ ხშირია ხანძარი. თუ ასე გაგრძელდა, მალე ქვეყანა ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება, საამისო ნიშნები უკვე არის, თუნდაც საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე გამუდმებული ღვარცოფები და სხვა.**

როგორც შევიტყვეთ, **ახმეტის რაიონის სოფელი მატანი** და **პანკისის ხეობის სოფლები** ღვარცოფებმა ძლიერ დააზარალა. ასევე **სტორის ხეობაში (თელავის რაიონი) სოფელ ფშაველში** ადიდებულმა ჭიჭაკვის პატარა მდინარემ 60 ოჯახი ლამის წალეკა. ამ ხეობის ტყეები უძველეს ხუროთმოძღვრულ ძეგლ კოხტასხვითისმშობლამდე და მის ზემოთაც თითქმის მთლიანად არის განადგურებული. ეროზიის შედეგად აქ ერთი მთა უკვე ჩამოწვა. აქვეა კონცხოვნის ხეობა, რომელიც ტყის ჩეხვისგან მოტიტვლებულია და ეროზიისგან მთლიანად ჩამოწოლილია.

სტორის ხეობაში უნიკალური ჯიშის ტყეებია. ასეთი სილამაზის ადგილებს ჩვენს მიწა-წყალზე იშვიათად შეხვდებით.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქვე, სოფელ ფშავლის და ლეჩურის ჩრდილოეთით, საიდანაც საავტომობილო გზა სტორის ვიწრო ხეობიდან თუშეთისკენ მიემართება, გაზაფხულობით და შემოდგომობით მიედინება ცხვარ-ძროხა „დაჯავშნული“ კავკასიური ჯიშის ძაღლებით, ბარგით დატვირთული ცხენები, მათზე გადაკიდებული ხურჯინებით და ბატკნებივით ხურჯინებში ჩასმული „ბაღლებით“...

ფშავლის თავში, სტორის პირას, ბატონ გოგი თოფაძეს ჩაუდგამს მსოფლიო სტანდარტების დონის მძლავრი ხის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელსაც სულ მალე, ვერ გაუძლებს ამ ხეობის ტყეები, მთლიანად „შეაკნატუნებს“, დარჩება მოტიტვლებული მთა-გორები, ეროზიული ადგილები და ღვარცოფები წალეკავს აქაურ მოსახლეობას.

როგორც ცნობილი გახდა, ეს მძლავრი ქარხანა ბატონმა გოგიმ იჯარით გადასცა ჩინელებს, ოღონდ არავინ იცის, რამდენი ხნით, რადგანაც დოკუმენტებში არ ჩაგვახედეს და მისმა „დროებითმა“ მეპატრონეებმა იქაურობას ცხრაკლიტული დაადეს.

ამ ქარხნის მუშაობა საქართველოს პარლამენტმა შარშანწინ ერთი წლით შეაჩერა.

**ბატონო გოგა, ქალბატონო ვერა,** როგორ ფიქრობთ, ამ ტყეების ჭრა და მძლავრი ქარხნის მუშაობა სიკეთეს მოუტანს აქაურობას? ჩინელებმა შარშან აამუშავეს ქარხანა და... ლეჩურის ზემოთ, ჭონტის ტყეში უკვე დაიწყეს ხეების ჭრა და დამუშავება, ისიც გვაინტერესებს აქაური ტყეებიც გაყიდულია?

ფშავლის ქარხნისთვის მანამდე ხე-მასალას „ტრაილერებით“ეზიდებოდნენ ყვარლიდან, თიანეთიდან და ახმეტიდან, განა იქაური ტყეები არ არის მოსაფრთხილებელი?

დღეისათვის ჩინელები ახმეტა-ფშავლის ტყეებით სარგებლობენ.

მინდა აღვნიშნო, რით არის უფრო მეტად მნიშვნელოვანი სტორის ხეობის ტყეები: მის ქვედა ნაწილში კომუნისტების რეჟიმის დროსაც იჩეხებოდა ერთი და იგივე ფართობები. ნახევარი კი, ხეობის ზემოთ, სადაც გზა და ტრანსპორტი არ უდგება, არის ხელუხლებელი წიფლნარები, რადგანაც ფერდობები ძალზე დაქანებულია, ამიტომ ამ ფერდობებზე ტყე ჭრას არ ექვემდებარება. სტორის ხეობაში ბევრია წაბლნარი. გავრცელებულია აგრეთვე წითელ წიგნში შეტანილი სახეობები: უთხოვარი, ძელქვა, ბზა, ჯონჯოლი, უცვეთელა, პასტუხოვის სურო...

2000 წლისაა უთხოვარი ბაწარაში, ძელქვის კორომები სოფელ ბაბანეურთან 300-400 წლისაა. სტორის ხეობა კი უნიკალურია თუნდაც იმით, რომ აქ, წითელ წიგნში შეტანილი უთხოვარი ხარობს.

სახელდობრ, პანკისის ხეობაში – ბაწარის ნაკრძალში, სტორის ხეობაში – ფშავლის ჩრდილო-დასავლეთით ყვარლის წმინდა გიორგის ეკლესიის და ბანიანი ეკლესიის ფერდობებზე.

ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიები 9.085 ჰექტარზეა გაშლილი. აქედან 3.042 ჰექტარი ბაწარაშია, 770 ჰექტარი – ბაბანეურში, ხოლო 5.270 ჰექტარს ილტოს აღკვეთილი შეადგენს.

უთხოვარი და ძელქვა, ეს ის უნიკალური და იშვიათი ჯიშებია, რომელთა დაცვის მიზნითაც 1935 წელს მოხდა ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალის სტატუსის მინიჭება. ბაბანეურს ეს სტატუსი 1961 წელს მიენიჭა, ილტოს აღკვეთილს კი – 2003 წელს. ილტოს აღკვეთილისთვის ამ სტატუსის მინიჭება იმან გამოიწვია, რომ აქ, ამ დროს მოხდა უთხოვრის კორომების მასობრივი განადგურება, მცენარის ყველაზე ნორჩი ნაწილებისგან სამკურნალო წამლების დამზადების მიზნით. სამწუხაროდ, მაშინდელი ადგილობრივი ხელისუფლება კი არ აღკვეთდა, არამედ პირიქით. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, რომ სატყეო დეპარტამენტს ილტოს აღკვეთილი რომ არ ჩამოეყალიბებინა.

* * *

**ბატონო გოგა!**

თავიდანვე მინდა გაუწყოთ: დაახლოებით ასეთივე შინაარსის ღია წერილი მივწერე თქვენს წინამორბედ მინისტრს, მაგრამ იგი მალე წავიდა ამ თანამდებობიდან და ისიც კი ვერ გავარკვიე, გაეცნო თუ არა მას. ვფიქრობ, თქვენ მაინც დაგაინტერესებთ, იქნებ იმის გამო, რომ ხელოვნებაა თქვენი პროფესია და არც ჟურნალისტობაა უცხო. თუნდაც თქვენი რადიოგამოსვლები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ გულწრფელად ხართ დაინტერესებული გარემოს დაცვის საკითხებით.

სამწუხაროდ, ის კონტაქტი, რაც უნდა არსებობდეს თქვენსა და ჟურნალისტებს შორის, აწყდება თქვენი პრესცენტრის მესვეურთა გულგრილობას და არაპროფესიონალიზმს. ამ მიზეზით ვერ შევძელი თქვენთან შეხვედრა და იმ კითხვების გაზიარება, რაც მაწუხებდა.

ეს ზაფხულის დასაწყისში იყო...

ახლა კი ისევ სადღეისო საქმეზე: ბოლო დროის მოვლენებმა, ავბედითობამ და განუკითხაობამ ჩვენი ეროვნული საუნჯე მიწასთან გაასწორა. ამაში არა მარტო დღევანდელ ხელისუფლებას, წინასაც



უძღვის ლომის წილი.

მაღალჩინოსანთა შემოსევაა საქართველოს ბეღლად წოდებულ კახეთში. მარტო სტორის ხეობას, პანკისის თუ ილტოს ხეობათა ბუნების საოცრებას – ტყეებს, ჯიხვებს, ნიამორებს, ირმებს, შვლებს, მთა-კლდეთა, ტყეთა ბინადრებს, საძოვრებს არ ეხება ეს. მთელი საქართველოს ჩინიანი და უჩინო ბრაკონიერების არენად არის გადაქცეული.

მინდა მცირე ექსკურსი შემოგთავაზოთ წარსულიდან...

ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, ყოფილი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ბიწაძე იმის მაგივრად, რომ ჩვენი სახელმწიფოს საზღვრები დაეცვა, ვერტმფრენიდან ნადირობდა ჯიხვებზე, ნიამორზე. მე თავად შევესწარი ამ მომენტს, როგორც მთის პრობლემებზე მომუშავე ჟურნალისტი.

ისევ სტორის ხეობა... გადაუდებელი საქმეა, განსაკუთრებული კონტროლი დაწესდეს სტორის ხეობის ტყეებზე, რათა ძირფესვიანად არ გაჩანაგდეს, თორემ თვალსა და ხელს შუა გაგვიქრება ეს თვალწარმტაცი სანახები, იქ სასტიკად უნდა აიკრძალოს ტყის კაფვა და ცარიელი ადგილები უნდა შეივსოს ახალი ნერგებით. ასევე, ფშავლის ხის გადამამუშავებელი ქარხანა აუცილებლად უნდა გადაკეთდეს სხვა ტიპის საწარმოდ, რათა ხალხი დასაქმდეს!.. ასევე აუცილებელია სტორის ხეობა გამოცხადდეს ნაკრძალად, რადგანაც ეს საზღვრისპირა, თუშეთში გადასასვლელი სახელმწიფოებრივი



მნიშვნელობის გზები თუ ტყეები ღვარცოფებმა არ წალეკოს!..

თუნდაც იმიტომ, რომ როგორც ვთქვი, აქ მსოფლიო მნიშვნელობის, წითელ წიგნში შეტანილი ხის ჯიშებია გავრცელებული...

ბოლო ხანს ხომ განსაკუთრებული აქცენტი კეთდება და უკვე გადაიდგა ნაბიჯები ტურიზმის განვითარებისათვის. დიდი პერსპექტივები გადაიშლება ჩვენს წინაშე, კახეთსა და აღმოსავლეთ-საქართველოს მთიანეთში ტურიზმის განვითარებისთვის.

* * *

თელავის რაიონში საძოვრების პრივატიზაცია შეჩერებულია, თუმცა კანონით აკრძალული არ არის. ამის გამო ბევრი საბუთი დევს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველოში. ვინც მოასწრო წინა წლებში, მათ დაუკანონეს, დანარჩენები ელოდებიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კეთილ ნებას.

როგორც აქაურები ამბობენ, სამინისტროს წინა ხელმძღვანელობამ ეს საკითხი არ გადაწყვიტა და საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა ფერმერების ფსიქიკას, ნდობის ფაქტორს და ქვეყნის ეკონომიკას.

ცივის მთის საზაფხულო საძოვრებზე, დღეისათვის სულ სამი ბინა ეკუთვნით ქართველ ფერმერებს, დანარჩენი ბინები აზერბაიჯანელი ეროვნების მოსახლეობის წარმომადგენლებს უკავიათ. იქ უკვე რამდენიმე დასახლება შექმნეს და ოჯახებიანად ცხოვრობენ. მათი ფერმერების რიცხვი ოცამდეა.

მაინტერესებს, ვისთვის ინახავენ მთას? საკუთრების ფორმის შეცვლა აქამდე უნდა მომხდარიყო, გასჩენოდა პატრონი, დამაგრებულიყო ქართველი ფერმერი. თუ ეს არ მოხდება, მთას სამუდამოდ ისევ უცხოტომელი დაეუფლება.

ასი წლის წინათ დაწერილი მიხეილ ჯავახიშვილის გასაიდუმლოებული ნაშრომი, რომელიც შეეხებოდა საქართველოს საზღვრებს და ზოგიერთი მეზობელი ერის დახასიათებას, გვაფრთხილებდა ოსების არაკეთილმეზობლურ დამოკიდებულებაზე, საზღვრების ჩაკეტვისა და დაცვის აუცილებლობაზე, რაც სამწუხაროდ დღეისათვის მეტად ცუდად და ტრაგიკულად აგვისრულდა. იგივე შეიძლება ითქვას არაქართველი მოსახლეობის მიერ ჩვენი ცალკეული რეგიონების, განსაკუთრებით კი საძოვრების დაპატრონების მიმართაც. იქნებ მათაც გაეხსნათ მადა ტერიტორიების დაპატრონებისა. მთავრობას რომ კანონი გამოაქვს, მრავალმხრივად უნდა შეხედვა, შესწავლა და ქვეყნის, ქართველების ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტა.

გავიხსენოთ ისრაელის მთავრობის მიდგომა, საკუთარი ტერიტორიების ინტერესებისადმი. მთის ზონის საძოვრები მთლიანად ებრაელ მთიელებს მისცა იჯარით და ამასთანავე მათვე დაავალა საზღვრისპირა ტერიტორიების გაკონტროლებისა და დაცვის საქმე.

კახეთის რეგიონში სამი აზერბაიჯანული სოფელია: ყარაჯალა, იორმუღანლო და კაბალი. ხელისუფლებამ თუ იცის როგორია მათი ცხოვრების დონე და თუ შეუდარებია ქართული სოფლების მოსახლეობის მდგომარეობისთვის?.. გთხოვთ მოინახულოთ და შეადაროთ ერთმანეთს... დარწმუნდებით, იშვიათი ქართველიღა მისდევს მეცხოველეობას, აზერბაიჯანელი მოსახლეობა კი პირიქით, საკუთრებაში ადვილად იკანონებს მიწებს, მათ შორის საძოვრებსაც. მათ ხელშია ფული... კონკრეტულად, ყარაჯლის თავში სოფლების ვარდისუბნისა და რუისპირის განაპირა ტერიტორია ყარაჯლელების კუთვნილება გახდა და მათი ვეება შენობებია წამოჭიმული. ანალოგიური მდგომარეობაა იორმუღანლოსა და (საგარეჯოს რაიონი) და სოფელ კაბალში (ლაგოდეხის რაიონი). სხვა კუთხეებშიც ალბათ ასეთი მდგომარეობაა.

ერთ მაგალითსაც მოვიყვან, ოღონდ ქვემო ქართლიდან. ქალაქ რუსთავიდან დაწყებული ვრცელ მთას ისტორიულად ერქვა ლომთაგორა. დღეისათვის, ჩვენი მიწა-წყლის ამ მთას აზერბაიჯანელმა მოსახლეობამ უწოდა იალღუჯის მთა და ჩვენც მშვიდად და უპრეტენზიოდ მივიღეთ ეს არაქართული სახელწოდება...

ისევ საძოვრებს დავუბრუნდეთ. რა ქნას ქართველმა გაძვალტყავებულმა ფერმერმა, ყველაზე მეტად მას აწვალებენ და ზღუდავენ მიწის საკუთრების დამტკიცებაზე. ჩვენია ჩვენი ქვეყანა თუ... ცივის საძოვრებზე, მუხიანი მთის ბოლო წერტილში არის საზაფხულო სადგომი მუხიანგორი. იქ შვიდამდე საფლავია, სადაც აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქეებს თავიანთი მიცვალებულები დაუმარხავთ...

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი ბედოვლათობითაც ბევრი ზიანი მიადგა დედასაქართველოს სახელმწიფოებრიობას... საკუთარს პატივს არ ვცემთ, ხელს არ ვუწყობთ ძირძველი ქვეყნის შვილებს, ქართველ მოსახლეობას, სხვები კი ლაღობენ!.. ჩვენი ბედკრული სამშობლოს – ქართველთა მიწა-წყალზე ეროვნულ უმცირესობაში გადასვლას ცოტაღა გვაკლია...

ალბათ ამიტომ არის, რომ ქართველი მოსახლეობა ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში მიედინება და ბევრი სამუდამოდ რჩება, ჩვენ კი ვკარგავთ ტერიტორიებს, მიწებს, გენოფონდს, ახალგაზრდებს, რომელთაც უნდა გაამრავლონ ჩვენი ქვეყანა.

**იზა ჯაჭვაძე.**



**სურათზე:** თუშეთი – სოფელი დოჭუ; სტორის ხეობა – გზა თუშეთისკენ.



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №175



80-იან წლებში პარიზში გადაღებულ ამ ფოტოს მინაწერი ახლავს: **„მია დადიანი, თენგიზ ღვინიაშვილი, გიორგი დადიანი. თენგიზის პირველი ჩასვლა პარიზში, როცა პირველად ნახა ჩვენები“...**

„ჩვენებში“ პარიზის ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერის, საზოგადო მოღვაწის კოკი დადიანის 1921 წლიდან სამშობლოდან გამგზავრებული შთამომავლები იგულისხმება, რომლებმაც ორმოცწლიანი „რკინის ფარდის“ შემდგომ ნათესავებიდან ურთიერთობა აღადგინეს.

საქართველოში დარჩენილი დადიანთა სიძე, ცნობილი მოქანდაკე **თენგიზ ღვინიაშვილი** იმ ხანებში, მეუღლის ნათესავების მიწვევით, საფრანგეთში ჩავიდა.

დადიან-ღვინიაშვილთა საოჯახო არქივში, სხვა მრავალ რელიკვიასთან ერთად, **გიორგი დადიანის** ერთი მეტად საგულისხმო წერილიც ინახება, 1980 წლის 3 აპრილით დათარიღებული. გიორგი დადიანი (სურათზე მარჯვნივ) თბილისში მცხოვრებ დას, ბაბო დადიანს ატყობინებს, რომ მათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ეწვია. დიდი იყო ქართული ემიგრაციის სიხარული.





მკითხველისთვის საინტერესო იქნება წერილის ავტორის სტილი და ორთოგრაფიაც, ემიგრანტებისთვის მახასიათებელი. გიორგი დადიანი ხომ უცხოეთში სრულიად ბავშვი წაიყვანეს და მას მერე სამშობლოს უნახავად დაასრულა სიცოცხლე...

**„ძვირფასო და ძალიან, ძალიან საყვარელო ჩემო ბაბლი. მივიღე შენი წერილი გუშინ და ვეცდები ყოველ შენს კითხვაზე გიპასუხო.**

**უპირველეს ყოვლისა, უნდა მოგახსენო, თუ რა აღტაცებაში ვიყავით უწმინდესის ჩამოსვლით. ეს იყო ჩვენთვის უდიდესი სიამოვნება.**

**როგორც საქართველოს პატრიარქი და უდავოდ თვით მისი პიროვნებაა, რომელმაც გააშუქა ჩვენი საყდარი. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ მთლიანად, მოკლე ხანში შეგვესრულებინა, ის რისიც ღირსი იყო... ჩვენ გულში კი დაგვიტოვა უდიდესი სიხარული და პატივისცემა. როგორც მას ეკადრება ისეთი...**

იმედი მაქვს იგრძნო ჩვენი, ყველასი აღტაცება... „წრფელი გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების“. იშვიათი ადამიანი ბრძანდება, მისი სახელი უსათუოდ დარჩება, როგორც უწმინდესის, ბრწყინვალე კათოლიკოსის ჩვენს საყდარში“...

იმ დღეს საქართველოს პატრიარქს საფრანგეთის მთელი ქართველი ემიგრაცია შეხვედრია... ბევრი ცრემლი დაიღვარა პარიზის ქართულ ეკლესიაში... შემდეგ დიდხანს საუბრობდნენ იმ იმედზე, იმ სასოებაზე, რომელიც უწმინდესმა და უნეტარესმა მათ გულებში დატოვა.

იმ დღეს საქართველოს პატრიარქის სახეში ისინი უსამშობლოთა სამშობლოს ხედავდნენ..



მია დადიანი, თენგიზ ღვინიაშვილი, გიორგი დადიანი



ბაბო დადიანი, ლუსი-გიორგი დადიანის ამერიკელი მეუღლე, გიორგი დადიანი, მია დადიანი და მათი ფრანგი მეგობარი

---

**„რეზო ინანიშვილზე რამე რომ დაწეროს კაცმა ან ძალიან ნიჭიერი უნდა იყოს, ან ოდნავ თავხედი.**
**მე არც პირველის პრეტენზია მაქვს და არც მეორისთვის მემეტება თავი“.**
**ვახუშტი კოტეტიშვილი.**

რეზო ინანიშვილი კანდელაკის ქუჩაზე გადასვლამდე მარჯანიშვილის ქუჩაზე, ტაქსების გაჩერების მოპირდაპირე მხარეს, მწერლების პატარა სახლში ცხოვრობდა. მე – ნინოშვილზე, ალექსანდრე ნეველის ეკლესიის სიახლოვეს. დილაადრიან სამსახურში მიმავალს რეზო, როგორც ოჯახზე მზრუნველი მამა, უკვე შინ მობრუნებული მხვდებოდა – რძის სქელი ბოთლებით სავსე ბადიით ხელში, თავისი განუმეორებელი ღიმილით. მერე კი როგორც მეზობლები, „წიგნის სასახლის“ მესამე სართულზე ვხვდებოდით ერთმანეთს – ის გამომცემლობა „ნაკადულში“ მუშაობდა, მე – „საბჭოთა საქართველოში“. 1981 წელს მხვდა წილად ბედნიერება რეზოს მოთხრობების ერთტომეულის რედაქტორი ვყოფილიყავი. თანამდებობა იყო ასეთი, თორემ რეზოს წიგნს რა რედაქტორი სჭირდებოდა... ამის მიუხედავად, ავტორი და რედაქტორი მსხლის ჯიშის სახეობაზე ერთხელ მაინც წავკამათდით:

# ალექსანდრეს მხალი

ის დაბეჯითებით „ალექსანდრეს მსხალს“ ანიჭებდა უპირატესობას, მე – „ალექსანდროულს“. ცხადია, წიგნში ავტორის ვარიანტი დარჩა. ერთ დღესაც საწერ მაგიდაზე ანაბეჭდები და ეს პატარა ბარათი დამხვდა:

**ქ-ნო ლეილა!**

**წავიკითხე ეს თხუთმეტი ფორმა. ძალიან სუფთად არის აწყობილი და წაკითხული. დიდ მადლობას ვუხდი კორექტორს და კონტროლს. შემდეგი ფორმები ვეღარ მიმაქვს. ხვალ ერთი თვით მივდივარ სხვაგან. თუ რაიმე გაუგებრობა იყოს, გთხოვთ მიმართოთ „ნაკადულში“ ლოლა ქადაგიშვილს, ის ჩემი „რასკაზების“ გამოცდილი რედაქტორია და ადვილად გაართმევს თავს ამ გაუგებრობებს .**

**P. S. როგორც იქნა, ვიპოვე და მოგართვით ჩემი ხელნაწერი, რომელიც ადრე დაგპირდით.**

**რ. ინანიშვილი**
**13. X. 81.**

ეს ხელნაწერი კი იყო ყველასათვის საყვარელი მოთხრობის „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“ ავტოგრაფი. იგი თაბახის ფურცლებზე ნაწერ 23 გვერდს მოიცავს, დათარიღებულია 1960 წლის 25–28 ოქტომბრით და ჩანს, ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი, თუმცა დაწერილი კი არა, კალიგრაფიულად ჩაწიკწიკებული. მუშაობისას მხოლოდ რვა სიტყვა თუ გადაუშლია, ერთადერთი, რაც შემდეგ შეუცვლია, პირვანდელი სათაურია –„ავტობუსები არავის უცდიან“.



რეზოს მოთხრობა თითქოს გამოსაცემად მოუმზადებია – თაბახის ფურცლებზე შემოკრულ რუხი ფერის გარეკანზე მამაკაცის ზურგშექცეული ფიგურა დაუხატავს, ძნელი ამოსაცნობი არ უნდა იყოს სულხანი, ზურგის კუთხიდან კი ელენეს ნაღვლიანი თვალები და მოკუმული ტუჩები გვიმზერს.

წიგნი 1982 წლის იანვარში გამოვიდა. ლიდერინის გარეკანის ლითონის კლიპშე – „რევაზ ინანიშვილი“ – საწერ მაგიდაზე მედო, ვიდრე გამომცემლობის თანამშრომლები „წიგნის სასახლიდან“ არ გამოგვრეკეს.

რეზოს უდროოდ და პატივმიუგებლად წასვლის შემდეგ ვფიქრობდი, მის მიერ მოძღვნილი საჩუქარი ერთი ადამიანისათვის ფუფუნება იყო და იგი სხვებისთვისაც უნდა მეწილადებინა. მოვინდომე წიგნად გამოცემა, რათა მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს ენახათ, როგორ მუშაობდა საყვარელი მწერალი.

გლდანში იყო ასეთი სტამბა „კარტფაბრიკა“, არ ვიცი, ახლაც არსებობს თუ არა. გაზომეს, დაიანგარიშეს, ხარჯთაღრიცხვა გამომატანეს, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, გამომცემლობაში იმ დროს „ჩემი იდეების დრო არ იყო“. ეს ხელნაწერი რეზოს ბარათთან ერთად ლიტერატურის მუზეუმში დაიდებს ბინას და იმედია, ოდესმე ჩემი იდეაც განხორციელდება.

რეზოს წასვლის შემდეგ, ყოველ შემოდგომაზე, როგორც კი ბაზრების დახლებზე ყავისფერკანიანი მსხალი გამოჩნდება, გულგრილად ვეღარ ჩამივლია და გამყიდველს ყასიდად ვეკითხები: „ეს ალექსანდრეს მსხალია?!“ ერთხელაც ზორბა გამყიდველმა როხროხით მიპასუხა: „ვინც იყიდის, იმისია!“ რა იცოდა მსხლის პატრონმა მე აღარც „ალექსანდრეს მსხალი“ მინდოდა და აღარც „ალექსანდროული“.

წელს დიდუბის პატარა ბაზარში დახლზე პირამიდასავით აკოკოლავებულ მსხლის გროვას გადავაწყდი, რომლისთვისაც მუყაოს ნაგლეჯი მიეყუდებინათ წარწერით – **„ალექსანდროვი“**. ასე მარტივად გადაწყვიტა გამყიდველმა რეზოსა და ჩემი პოლემიკა.

ვინ იცის, ჩემს ადგილას რეზო რომ ყოფილიყო, როგორ გაიღიმებდა იმ მომხიბვლელი ღიმილით, ასე რომ დაგვაკლდა ყველას.

**ლეილა ნანიტაშვილი**



რეზო ინანიშვილის ჩანახატი

# კიდევ ერთხელ წიგნის დასაცავად

თბილისში, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო **გერმანიის საუნივერსიტეტო ქალაქ მიუნსტერის სპეციალური უმაღლესი სკოლის დიზაინის კურსდამთავრებულების, ხელნაკეთი წიგნების – „ტრუფელის“ ჯგუფის გამოფენა.** პროფესორ **მიხაელ შტამის** ხელმძღვანელობით, სადაც წარმოდგენილი იყო ფორმითა და შინაარსით არაჩვეულებრივი **ე. წ. საავტორო წიგნები,** რომელთა დიზაინის – ილუსტრაციები, გრავიურები, ფოტოები, ტექსტი და სხვა სტილისტური გადაწყვეტა, ახალგაზრდა მხატვრების სრულიად ორიგინალური სტილით და ფანტაზიითაა შექმნილი.

ექსპოზიციაზე გამოფენილი გახლდათ ქართველი მხატვრის **მარი გირკელიძის** მიერ გაფორმებული წიგნების რამდენიმე ნიმუში: გაბრიელ გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“, ოლდოს ჰაქსლის „ჩაკეტილი საზოგადოება“, დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ პირველი ნაწილი „ჯოჯოხეთი“, ტენესი უილიამსის „ტრამვაი სახელად „ნატვრა“, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „ველური ვარდი“ და სხვა. მარი გირკელიძე ცდილობს მხატვრობის ეს ორიგინალური დარგი საქართველოშიც დაამკვიდროს, ამიტომ „ტრუფელის“ დამაარსებელი პროფესორი ბატონი შტამი დააინტერესა საქართველოთი და მარის და მისი ყოფილი პროფესორის ერთობლივი ძალისხმევით მოეწყო ეს გამოფენა. ხელნაკეთ წიგნებთან ერთად გამოფენილი იყო 15 გერმანელი მხატვრის მიერ შექმნილი წიგნი – ორიგინალები.

მარი გირკელიძე თბილისში დაიბადა. სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში მონუმენტურ მხატვრობას. 1999 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს გერმანიაში, როგორც მხატვარი და ილუსტრატორი. 2008 წელს დაამთავრა გერმანიის ქალაქ მიუნსტერის ფახპოხშულეს დიზაინის ფაკულტეტი, ილუსტრაციისა და ბეჭდვითი გრაფიკის სპეციალიზაციით.

**ახალგაზრდა მხატვარს უამრავ ჯგუფურ და პერსონალურ გამოფენაში აქვს მიღებული მონაწილეობა, როგორც გერმანიაში ისე მის ფარგლებს გარეთ. აქტიურად იყენებს იაპონურ ტექნოლოგიას, რაც გამოიხატა ორმაგ ფურცლებსა და ქაღალდის ფაქტურულ დამუშავებაში. ასევე იაპონური ტექნიკაა „CHINA-KOLE“, – ტექნიკა, რომელიც ითვალისწინებს გაზეთის ნაბეჭდზე ზემოდან რაიმე ნახატის გადაბეჭდვას. ახალგაზრდა მხატვარი ქმნის ერთგვარ ვარიაციებს ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოების დედააზრის თემაზე. ხშირად მისი ილუსტრაციები უახლოვდება სასცენო დადგმებს და ზოგჯერ ფილმიდან ამოჭრილი კადრების შთაბეჭდილებასაც ქმნის, რომლებიც ქაღალდზე თანმიმდევრულად, ერთმანეთის მიყოლებით ვითარდებიან.**

მარი გირკელიძის ნამუშევრებში მნიშვნელოვანია **ლიტერატურული პირველწყაროს მიუკერძოებელი აღქმა. ის გაუაზრებლად არ მიყვება ავტორისეული ტექსტის სიუჟეტურ ქარგას და მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის თითოეულ შედევრს XXI საუკუნის გადასახედიდან, პოსტმოდერნისტული ესთეტიკით წარმოგვიდგენს.** დაძაბული და ერთმანეთში ჩახლართული, ზოგჯერ შემზარავი სცენების შემდეგ წიგნში გვხვდება **თეთრი ფურცელი,** მხატვარი ამით ერთგვარ პაუზას აკეთებს, რათა შემდეგი გვერდიდან ახალი ძალით და ინტენსიურობით შეუდგეს ტექსტში მოცემული თემის საკუთარი წარმოსახვით ინტერპრეტირებას.



ტექსტის მხატვრული გაფორმებისთვის მარი გირკელიძე საკმაოდ აქტიურად იყენებს ციტაციის ხერხს, რომელიც მხატვრული გადაწყვეტის ადეკვატური შრიფტით არის გადმოცემული. ლიტერატურული პირველწყაროს გარკვეული ამონარიდი ზოგჯერ შუაშია წარმოდგენილი, ზოგჯერ ჰორიზონტალურ ნაწერზე ვერტიკალურადაა გადაწერილი, ზოგჯერ კი შრიფტის თითოეული ასო იმდენჯერ არის კონტურით შემოხაზული, რომ თითქმის აღარც იკითხება.

იგი ინტენსიურად მიმართავს ფერების და საგნების სიმბოლიკას. იგი აქტიურად იყენებს ლურჯ ფერს, რაც მისი აზრით, მონატრების საწყისია. რუსი აბსტრაქციონისტი მხატვრის **ვასილი კანდინსკის** აზრით, ლურჯი აღვიძებს ადამიანში სიწმინდისკენ, სიმშვიდისკენ, მარადიულობისკენ, რწმენისკენ სწრაფვას. ქართულ სიმბოლიკაში ეს არის რომანტიული ფერი. ასევე იყენებს წითელ ფერს, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან მხატვრის აზრით, ეს არის პირველი პიგმენტი, რომელიც ადამიანმა აღიქვა, როგორც ფერი. სწორედ წითელი ფერი თან სდევს კაცობრიობას, მისი პირველი ნაბიჯებიდან. ჯერ კიდევ გამყინვარების პერიოდის მღვიმეების კედლებზე შემორჩენილი ნახატები წითელი ბუნებრივი საღებავითაა შესრულებული. მწვანე ფერი კი, მარი გირკელიძის აზრით, გამოხატავს შურს, თუმცა, ამ შემთხვევაში წითელი ფერისგან განსხვავებით, მხატვრის შეხედულება მწვანესთან დაკავშირებით მთლიანად შორდება ფერთა დადგენილ სიმბოლიკაში ამ ფერის სემანტიკურ განმარტებას, სადაც მწვანე არის განახლების, უკვდავების, იმედის, აღორძინების სიმბოლო.



მხატვარ ქალის სიმბოლოთა არსენალში ხშირია პეპლების გამოსახვა. პეპელა მარი გირკელიძესთან დაბადების, ყველაფერი ახლის დაწყების თუ შექმნის სიმბოლოა, რაც გარკვეულად ემთხვევა სიმბოლოთა ლექსიკონში მოცემულ განმარტებას. ჭუპრიდან პეპლის დაბადება ახლის დაბადებას, მკვდრეთით აღდგომას ნიშნავს.

მარი გირკელიძემ ფედერიკო გარსია–ლორკას „სისხლიანი ქორწილის“ წაკითხვის სრულიად განსხვავებული ვერსია წარმოადგინა. იგი მეტად თამამად უდგება მწერლის მიერ ნაწარმოებში ჩადებულ



**მარი გირკელიძე – დიდი ქართველი დრამატურგის პოლიკარპე კაკაბაძის შვილიშვილი გერმანული ხელნაკეთი წიგნის დიზაინის ქართველი ადეპტი**

სიუჟეტურ განვითარებას და პიესის ტექსტუალურ ქსოვილში საკუთარი ხედვით და ფანტაზიით სვამს იმ მახვილებს, რომელთაც შემდეგ დედააზრის გამოსაკვეთად იყენებს. მხატვარი თითქმის მთელ ყურადღებას ღალატსა და შურისძიებაზე მიმართავს. როგორც ცნობილია, გარსია–ლორკას პიესაში წარმოდგენილია ორი ოჯახის ტრაგედია. ერთი უკვე შექმნილი, ოღონდ უსიყვარულოდ. მეორე კი სწორედ ახლა ჩასახული, მაგრამ როგორც ჩანს, ქალის გული უკვე დაოჯახებული მამაკაცისკენ მიილტვის. ქორწილის დღეს მათი გაქცევა თავისთავად მოასწავებს უარყოფილი მამაკაცის შურისძიებას და სისხლის დაღვრას. ორი მამაკაცი ერთმანეთს შეაკვდება ქალის გამო.

მარი გირკელიძის ნახატებს, თვითონ პიესის სიუჟეტს თუ შევადარებთ, ერთი შეხედვით არც კი გვანან ერთმანეთს, თუმცა მარი გირკელიძე კარგად ჩაწვდა იმ ძირითადს, რაც წითელ ზოლად გასდევს გარსია–ლორკას შემოქმედებას და კერძოდ კი „სისხლიან ქორწილს“, მწერლის მიერ გაზეთში ამოკითხულ ქრონიკას სოფლის ქორწილში მომხდარი ტრაგედიის შესახებ, როდესაც ქალის გულისთვის ორი მამაკაცი შეაკვდება ერთმანეთს.

მხატვარს მთელი ემოციური დატვირთვა ფერებზე გადააქვს. ქაღალდებზე სულ რამდენიმე დეტალია წარმოდგენილი, მაგალითად: ქალის სახე, რომელიც გამოსახულია სწორად და თავდაყირა. ის იხრჩობა საკუთარ ცრემლში. ეს საცოლეა, რომლის გამოც სისხლი დაიღვარა.

ვინაიდან, გარსია–ლორკამ, როგორც ცნობილია, ეს სისხლიანი ამბავი გაზეთის ქრონიკაში ამოიკითხა, შესაძლოა ამიტომაც წიგნის დიზაინში წარმოდგენილია იაპონური „w/byfrjkt-ს“ ტექნიკით შესრულებული გაზეთის ნაწერზე ზემოდან გადაბეჭდილი პეპლის გამოსახულებები. მარი გირკელიძის სიმბოლიკით თუ ვიმსჯელებთ, ამით შესაძლოა იმის თქმა უნდა, რომ ქორწილი ჩაფიქრებული იყო ახალი ოჯახის შესაქმნელად, რასაც უნდა მოყოლოდა ახალი სიცოცხლის დაბადება, მაგრამ ეს მხოლოდ თავიდან, სიუჟეტის შემდგომმა განვითარებამ კი სულ სხვა ფინალი მოიტანა. აქ არ არის „ჰეფი ენდი“. ტრაგედიის მიმანიშნებლად მხატვარი ჯერ იყენებს პეპლის გამოსახულებას, რომელსაც ლურჯი ფერის ცრემლები ჩამოსდის, შემდეგ კი თავისკენ მიმართულ ტყვიას და გაწითლებულ ანუ სისხლიან თავის ქალას, რაც უკვე სიკვდილის სიმბოლური ასახვაა. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი თანმიმდევრული სურათები ქმნიან თითქოს კინოფილმის გაჩერებული კადრების შთაბეჭდილებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია მწერალს მკვლელობის იარაღად დანა აქვს გამოყენებული, მაგრამ მხატვარი სიუჟეტის მხატვრული გადმოცემისას ამძაფრებს სიუჟეტს და ტყვიებს გამოსახავს, რადგან პარალელურად ამ თემას უძღვნის 2008 წლის ომს საქართველოში.

**საინტერესო და სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ შესაძლოა გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც სამშობლოდან მოშორებული მხატვრის შემოქმედებაში იგრძნობა ნოსტალგიური მოტივები, ერთგვარი ეროვნული სიმბოლიკის შემოტანით, მაგ: ბორჯღალოს სახით ან ხალხურისთვის დამახასიათებელი გაკრული ქართული შრიფტით და სხვა.**

**მხატვართან საუბრისას გაირკვა, რომ ბორჯღალო მას პასპორტის ყდაზე უნახავს, მოწონებია და გადაუწყვეტია გამოეყენებინა თავის ნამუშევრებში. სიმბოლოთა ლექსიკონის მიხედვით კი დედაბოძზე გამოსახული ბორჯღალო ოჯახის სიმშვიდისა და უსაფრთხოების გარანტიას წარმოადგენდა.**



**ასეთი სახის წიგნების შექმნის მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ ტექნიკის უაღრესი განვითარება, რამაც საფრთხე შეუქმნა წიგნს, როგორც ინფორმაციის წყაროს, მის რეალიზაციას და საერთოდ არსებობას. ეს ახალგაზრდები კი გამოვიდნენ წიგნის დასაცავად. თითოეული ამ მხატვრის მიერ შექმნილი საავტორო წიგნი ეს არის დამოუკიდებელი არტი–ფაქტი, ხელოვნების ნიმუში, რამაც კიდევ ერთხელ უნდა შეახსენოს საზოგადოებას წიგნის შეუცვლელობა, მისი განსაკუთრებულობა და იგი საინტერესო და სასურველი გახადოს.**

**ქეთევან იოსებაშვილი**







**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

### რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს პრეზიდენტის მშვიდობისმოყვარე ჟესტმა ჟენევის მოლაპარაკებაზე პროგრესს ხელი ვერ შეუწყო

**23 ნოემბერს ევროპის პარლამენტისადმი მიმართვაში, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაადასტურა, რომ საქართველო „არასდროს გამოიყენებს სამხედრო ძალას ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად“, რაც სეპარატისტულ რეგიონებზე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე ჰეგემონიის ხელახლა დაწესებას ნიშნავს**

ორი რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტებმა ანალოგიური პირობა დადეს და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო სასწრაფოდ მიესალმა მათ ამ ნაბიჯს, როგორც „სიბრძნისა და პოლიტიკური პასუხისმგებლობის“ დემონსტრირებას.

საერთაშორისო შუამავლებმა უფრო ფრთხილად მოახდინეს რეაგირება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღიარეს, რომ სააკაშვილის წინადადებამ „ახალი კონტექსტი„ შემოიტანა იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომმა შექმნა. ამ ომის შედეგად რუსეთმა ოფიციალურად აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა, ხოლო სამხრეთი ოსეთიდან ათასობით ქართველი გამოიქცა.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმედები, რომლებიც 16 დეკემბრის ჟენევის ოთხმხრივ მოლაპარაკებას უკავშირდებოდა, ილუზორული იყო. საქართველოს მხარე რუსეთს ბრალს სდებდა პროგრესის დეფიციტის გამო, ხოლო რუსეთისა და აფხაზეთის წარმომადგენლები იმაზე წუხდნენ, რასაც ისინი თბილისის „არაკონსტრუქციულ“ მიდგომას უწოდებენ.

არ არის გარკვეული, რას და რამდენად ეძიებდა ჟენევაში საქართველოს დელეგაცია. აფხაზეთის დევნილი მთავრობის ხელმძღვანელმა გიორგი ბარამიამ „კავკას-პრესს“ განუცხადა, რომ ის პრიორიტეტულად მიიჩნევდა დისკუსიას იმაზე, თუ რა როლი შეასრულა აფხაზეთში დისლოცირებულმა რუსმა სამხედრო ოფიცერმა თბილისში მომხდარი აფეთქების დაგეგმვაში. ამ აფეთქების შედეგად გასულ თვეს დაიღუპა ერთი ქალი.

2008 წლის ოქტომბრის შემდეგ, საქართველოს, აფხაზეთის, სამხრეთი ოსეთის და რუსეთის მთავრობების წარმომადგენლები, მედიატორები ევროპის კავშირიდან, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციიდან (ეუთოძ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან და შეერთებული შტატებიდან უკვე 14-ედ ხვდებიან ერთმანეთს ჟენევაში, რათა განიხილონ უშიშროებისა და ჰუმანიტარული საკითხები, ისეთები, როგორიცაა იძულებით გადაადგილებულ ქართველთა დაბრუნების უფლება აფხაზეთსა და სამხრეთი ოსეთში.

მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დელეგაციები თავიდანვე დაჟინებით ითხოვდნენ, რომ საქართველომ ხელი მოაწეროს ორმხრივ, იურიდიული ძალის მქონე შეთანხმებას, რომელშიც უარი იქნებოდა ნათქვამი სამხედრო ძალის გამოყენებაზე.

თბილისი კი მუდმივად იმას ამტკიცებდა, რომ რუსეთ-საქართველოს საზავო შეთანხმება ძალის გამოუყენებლობის შესახებ, ორივე მხარის პირობას შეიცავდა და ამიტომ სხვა წერილობითი შეთანხმება ზედმეტი იქნებოდა. გარდა ამისა, იმის გამო, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი მხოლოდ რუსების წარმომადგენლები არიან, ნებისმიერი ახალი ხელშეკრულება უნდა დაიდოს არა მათთან, არამედ მოსკოვთან როგორც საქართველოს სუვერენული ტერიტორიის „ოკუპანტთან“. საქართველოს ასეთმა უკომპრომისობამ ამ წლის დასაწყისში აფხაზებს



თითქმის უბიძგა მოლაპარაკებების ბოიკოტისკენ.

საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა გიგა ბოკერიამ „იმედგაცრუება“ გამოხატა იმის გამო, რომ თანათავმჯდომარეებმა არ დაიკავეს „უფრო მტკიცე და გამოკვეთილი პოზიცია“ ჟენევის გასული კვირის მოლაპარაკებაზე და დაჟინებით არ მოითხოვეს რუსეთისგან ოფიციალური დაპირება ძალის გამოუყენებლობის შესახებ.

სააკაშვილმა 23 ნოემბრის თავის სამშვიდობო ჟესტს იმ პოლიტიკის ნაწილი უწოდა, რომელსაც ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელმა ჰანს იორგ ჰაბერმა „კონსტრუქციული უნილატერალიზმი“ უწოდა.

ამ პრობლემებისადმი სააკაშვილის უყურადღებობა იმაშიც აისახა, რომ 23 ნოემბრის განცხადებისას, მან ამ ორი რეგიონის სახელი არც კი ახსენა. მან მხოლოდ ის თქვა, რომ „საქართველო არასდროს გამოიყენებს ძალას თავისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღსადგენად (დაძ დე-ოკუპაციისა და გაერთიანების გზები მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით უნდა მოიძიოს“. გარდა ამისა, მან მოგვიანებით გადაწყვიტა თავისი სამშვიდობო პირობის წერილობითი ასლი ეუთოსთვის, გაეროს, ნატოს, ევროპის კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამასთვის გადაეგზავნა, მაგრამ არა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტებისთვის.

როდესაც სააკაშვილის ინიციატივას 6 დეკემბერს აფხაზმა სერგეი ბაღაფშმა და ოსმა ედუარდ კოკოითმა სეპარატისტული წერილობითი განცხადებებით უპასუხეს, ორივემ გამოხატა ეჭვი ქართველი პრეზიდენტის გულწრფელობასთან დაკავშირებით. მათ განაცხადეს, რომ ისინი არ ენდობიან სააკაშვილის არც ერთ სიტყვიერ დაპირებას, მათ ტერიტორიებზე წარსული ფართომასშტაბიანი სამხედრო შეტევების გათვალისწინებით.

კოკოითმა განაცხადა, რომ სააკაშვილის დაპირება „ერთ პენიდაც არ ღირს“, თუ იმას გავითვალისწინებთ რომ „ისინი ჩვეულებრივ წინ უძღვის თავდასხმას ჩვენს ქვეყანაზე“. ორივემ დაადასტურა, რომ დაიცავენ ძალის გამოუყენებლობის „საყოველთაოდ მიღებულ პრინციპს“ და არ მიმართავენ მუქარას სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ, მაგრამ ამავე დროს დაიტოვეს უფლება, ასეთ ძალას თავდაცვისთვის იმ შემთხვევაში მიმართონ, თუ, როგორც ამას კოკოითი ამბობს, „ჩვენი ყველაზე ცუდი მოლოდინი გამართლდება“ და საქართველო ახალ თავდასხმას წამოიწყებს.

ევროკავშირის, გაეროს და ეუთოს მედიატორები ჟენევის მოლაპარაკებაზე სააკაშვილის წინადადებას, აფხაზეთის, სამხრეთი ოსეთის ლიდერებისა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხს მასზე, მიიჩნევენ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან ნაბიჯად იმ უამრავი პრობლემის გადაწყვეტისკენ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს საზავო ხელშეკრულებით ვერ გადაიჭრა. ამავე დროს ვრცელ ინტერვიუში, რომელიც 15 დეკემბერს ვებ-საიტმა civil.ge-მ გამოაქვეყნა, ისინი აღიარებდნენ, რომ, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განვითარდეს ახლად ამოტივტივებული შესაძლებლობა, ოთხივე მხარეს შორის ისევ უთანხმოების მიზეზად რჩება.

ელჩი პიერ მორელი, რომელიც ჟენევის მოლაპარაკებაზე ევროკავშირის წარმომადგენელი და თანათავმჯდომარეა, განმარტავდა, რომ ძალის გამოუყენებლობის შეთანხმება, მხოლოდ მედლის ერთი მხარეა და უსაფრთხოების რეალური გარანტიებით გამყარებას მოითხოვს. ის განმარტავდა — „ჩვენ ყველა მონაწილესთან ხაზს ვუსვამთ კიდევ და კიდევ იმას, რომ თუ გინდათ მუშაობა ძალის გამოუყენებლობაზე, თქვენ ამავე დროს უნდა იმუშაოთ უშიშროების საერთაშორისო სისტემაზეც, რომელიც დაკავშირებულია ძალის გამოუყენებლობასთან. ძალის გამოუყენებლობა არ არის იმ ტიპის კონცეპტი, რომელიც ჰაერში ტრიალებს. ეს არის რაღაც, რაც კონკრეტულ სიტუაციებს უკავშირდება, რაც გულისხმობს ქცევათა წესებს, გარანტიებს და შედეგებს ადგილზე. ასე რომ არ იყოს, ამდენად რატომ გაირთულებდა ნებისმიერი მხარე ცხოვრებას? ეს უსაფრთხოების რეალურ გაუმჯობესებას გულისხმობს. ამიტომ თუ დაიწყებთ მუშაობას ამ სამართლებრივ და სავალდებულო განზომილებაზე, თქვენ გარანტიებსაც და მეთოდებსაც უნდა გადახედოთ“.

არც მორელს, არც მის კოლეგებს, თანათავმჯდომარეებს ანტი ტურუნენს გაეროდან და არც ბოლატ ნურგალიევს, რომელიც ყაზახეთს წარმოადგენს ეუთოს თავმჯდომარის სტატუსში, არც კი მიუნიშნებიათ იმაზე, თუ რომელ კონკრეტულ მეთოდებს განიხილავენ ისინი, როგორც ეფექტურსა და პრაქტიკულად შესაძლებელს, მაგრამ 16 დეკემბერს, The Moscow Times-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ამერიკელი ექსპერტები კორი ველტი და სემუელ ჩარაპი მთელი ძალით ამტკიცებდნენ ევროკავშირის მეთვალყურეთა ფუნქციების გაზრდის მნიშვნელოვნებას. ეს შეუიარაღებელი მეთვალყურეები 2008 წლის შემოდგომიდან განთავსდნენ საქართველოს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც სეპარატისტულ რეგიონებს ესაზღვრება, სწორედ ისინი იკვლევენ, როგორც წესი, ყველა მხარის განცხადებას ადამიანის უფლებათა და საზავო შეთანხმების დარღვევის შესახებ.

მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ ევროკავშირის მისია პირველად განთავსდა, აფხაზებმა განაცხადეს რომ ისინი მის წევრებს აფხაზეთში შესვლის ნებას არ მისცემენ და თუ ბაღაფშის აშკარა იმედგაცრუებასა და ევროკავშირისადმი მის ეჭვებს გავითვალისწინებთ, ძალიან მცირეა საფუძველი პოზიციის რადიკალური შეცვლისა მაშინაც კი, თუ მოსკოვი ევროკავშირის მისიის შესვლას გალში პრინციპულად დაეთანხმება.

RadioFreeEurope RadioLiberty

# არავის შეუძლია წაჰკიდოს ერთმანეთს რუსეთისა და საქართველოს ხალხები

**რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ კარგი მეზობლური ურთიერთობანი და ნამდვილი პარტნიორობა — რუსეთისა და საქართველოს მომავალი ურთიერთობაა.**

ვლადიმერ პუტინმა ეს განცხადება გააკეთა სამშაბათს ძეგლის „ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ ერთად ვიყავით“ გახსნის ცერემონიაზე რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში.

ცერემონიას ესწრებოდა აგრეთვე საქართველოს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ნინო ბურჯანაძე.

„დარწმუნებული ვარ, რომ არავის შეუძლია წაჰკიდოს ერთმანეთს რუსი და ქართველი ხალხები და დაანგრიოს ჩვენი ტრადიციული ადამიანური და სულიერი კავშირები, ვინაიდან ორი ქვეყნის მომავალი უნდა ვითარდებოდეს კეთილმეზობლურ, თანაბარუფლებიან, ჭეშმარიტად პარტნიორული ურთიერთობებით, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა, როგორც ამას ახალი ამბების სააგენტო „ინტერფაქსი“ გადმოსცემს. — რუსეთ-საქართველოს მეგობრობა უზარმაზარი უტყუარი ღირებულებაა“.

ახალი ძეგლი, რომელიც დაიდგა მოსკოვის დასავლეთში, შეცვლის საბჭოთა „დიდების მემორიალს“ საქართველოს ქალაქ ქუთაისში, რომელიც 2009 წელს გაანადგურეს.

უანგარო დახმარება მიიღეს არა მხოლოდ რუსეთისა და საქართველოს ხალხებმა, არამედ დსთ-ს რესპუბლიკების მცხოვრებლებმა და ბევრმა სხვა სახელმწიფომაც, განაცხადა პუტინმა.

CNC 新华网络电视台

## დედამიწის ზურგზე



**რომში შვეიცარიისა და ჩილეს საელჩოებში აფეთქებების პასუხისმგებლობა ანარქისტებმა იკისრეს**

ამის შესახებ არის აღნიშნული დაჯგუფება „ანარქისტების არაფორმალური ფედერაცია“ წერილში, რომელიც აღმოაჩინა პოლიციამ. ეს დაჯგუფება გამოდის, როგორც თავად აღნიშნავს, „მთელი პოლიტიკური წესრიგის წინააღმდეგ“. მისი აქტივისტები ადრე გამოამჟღავნეს გავლენიანი ჩინოვნიკებისთვის წერილების გაგზავნაში, რომლებშიც მოთავსებული იყო ასაფეთქებელი ნივთიერებები.

* * *

**რუს მზვერავს პოლონეთში სამი წლის ციხე მიუსაჯეს**



გამოირკვა, რომ დაზვერვის მთავარი სამმართველოს თანამშრომელი, რომელიც ცნობილია როგორც თადეუში და ცხოვრობს პოლონეთში ათი წელია, იყო „მძინარე აგენტი“. იგი ელოდებოდა ხოლმე დავალებებს. ის ყიდდა ოპტიკურ სამიზნეებს სანადირო თოფებზე, ცდილობდა, შესულიყო პოლონეთის გენერალიტეტის ნდობაში.

* * *

**სომალილენდში დააკავეს ექვსი მფრინავი რუსეთიდან, მათ ბრალი ედებათ სამხედრო ამუნიციების უკანონო გადაზიდვაში**



თვითგამოცხადებული სახელმწიფოს ხელისუფლებამ კვირას დააკავა რუსეთის თვითმფრინავ ან-24-ის რუსი ეკიპაჟი და ორი ჟურნალისტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან საერთაშორისო აეროპორტში თვითმფრინავის დაჯდომის უმალვე. მოგვიანებით ორი ჟურნალისტი გაათავისუფლეს.

* * *

**უკრაინაში დაიკარგა „მეწარმეთა მაიდანის“ ერთ-ერთი აქტივისტი**

ვლადიმირ ლესიკი აპირებდა 22 დეკემბრისთვის ახალი საგადასახადო კოდექსის უკმაყოფილოთა მორიგი აქციის მოწყობას. მაგრამ 21 დეკემბრიდან იგი აღარავის უნახავს. ლესიკის კოლეგებს ეჭვი აქვთ, რომ ის შეიძლება დაკავებული იყოს და მოუწოდებენ ორგანოებს უახლოეს ვადაში დაადგინონ მისი ადგილსამყოფელი.



## ცისფერი ეკრანი: კულტურა, სპორტი

რას ვუყუროთ შაბათს, კვირას, ორშაბათს

### 25 დეკემბერი, შაბათი

I არხი
10.00 მხ. ფილმი „ლეპრიკონების საოცარი ლეგენდა“
12.15 მხ. ფილმი „პატარა უფლისწული“
14.00 სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“
18.00 ქარ. ტელეფილმი „სიყვარული, ხანძარი და პომპიერო“
22.00 ქართ. სერიალი „კა-17“
23.00 სერიალი „ფარი“
00.00 მხ. ფილმი „ქალი და მამაკაცი“
03.20 მხ. ფილმი „სიმპათია ეშმაკის მიმართ“

II არხი
20.00 მხ. ფილმი „ანგელოზი ოჯახში“
21.30 კონცერტი: თ. ჭოხონელიძე
23.40 მხ. ფილმი „სიმპათია ეშმაკის მიმართ“

რუსთავი-2
09.00 საბ. სერიალი „სინდბადი“
10.00 სერიალი „კლუბი“
12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
13.00 მხ. ფილმი „ბითუმად იაფია“
15.30 მხ. ფილმი „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“
18.50 სერიალი „დანიელა“
19.50 სერიალი „სად არის ელისა“
22.00 სერიალი „სასოწარკვეთილი დიასახლისები“
23.00 კონცერტი – პლასიდო დომინგო
01.00 მხ. ფილმი „დამალობანა“
03.20 მხ. ფილმი „თომას ქრაუნის თაღლითობა“

მზე
08:00 მხ. ფილმი
11.00 საბ. სერიალი „ოდისეა“
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი“
14.00 სერიალი „ელიზა“
15 00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
20.00 სერიალი „ტაქსის მძღოლი“
21.00 სერიალი „სი ეს აი“
22.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ
00.00 მხ. ფილმი
02.00 მხ. ფილმი

იმედი
09.15 მხ. ფილმი „ვინ არის ეს სანტა“
11.10 სერიალი „ურჩხულებთან მებრძოლები“
12.00, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
13.00, 18.45 სერიალი „ლობას საიდუმლო“
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა“
17.40 სერიალი „მოჯადოებული“
21.00 სერიალი „ქალბატონი“
23.00 სტუმრად იუმორინასთან
00.00 სერიალი „ციხე ოზი“
01.00 მხ. ფილმი „ლამაზი ქალი“ (სუბტიტრ.ძ
03.25 მხ. ფილმი „შეხვედრა ვამპირთან“ (სუბტიტრ.ძ

აჭარა
09.00 მუსიკა
09.30 სერიალი „დაშნების დედოფალი“
12.30, 21.00 სერიალი „იდუმალი სტუმარი“
13.15 სერიალი „ჩემი მიწა“
16.30 სერიალი „მოჯადოება“
18.50 მხ. ფილმი
23.00 მუსიკალური პროექტი
23.20 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
13.25 კონცერტი
15.10 ოპერა „აბესალომ და ეთერი“
19.25 მხ. ფილმი „ჩვენი ეზო“
01.10 მხ. ფილმი „ადგილის დედა“

საქართველო
11.00 სერიალი „სიოგუნი“
12.15 მხ. ფილმი „რემბო 2“
14.00 მხ. ფილმი „მეხუთე განზომილება“
16.05. მხ. ფილმი „300“
18.15 მხ. ფილმი „10 000 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე“
20.15 მხ. ფილმი „ტკივილის ტყვეობაში“
22.35 მხ. ფილმი „ხუთი წუთი სამოთხეში“
00.15 მხ. ფილმი „შვიდი წელი ტიბეტში“

რეგიონი – TV
12.00, 00.45 მხ. ფილმი „შოპგოლიკი“
12.35 მხ. ფილმი „ძმები ბლუზები“
13.45 მხ. ფილმი „სულელების ოქრო“
18.00 მხ. ფილმი „მუმია 3“
19.30 ვიქტორია სიქრეთ შოუ 2007
20.40 მხ. ფილმი „ფული ორისთვის“
22.45 მხ. ფილმი „ნეტავ ცაში ავიჭრებოდე“

### 26 დეკემბერი, კვირა

I არხი
10.00 მხ. ფილმი „ლეპრიკონების საოცარი ლეგენდა“
12.15 მხ. ფილმი „შური“
18.00 კონცერტი: ლ. ისაკაძე
22.00 ქართ. სერიალი „კა-17“
23.00 სერიალი „ფარი“
00.00 მხ. ფილმი „გრძნობით შეპყრობილნი“

II არხი
15.00 სპექტაკლი „დაკრძალვა კალიფორნიაში“
22.00 კონცერტი: ალ. კორსანტია
23.50 მხ. ფილმი „მხსნელი“

რუსთავი-2
09.00 საბ. სერ. „სინდბადი“
10.00 სერიალი „კლუბი“
13.00 მხ. ფილმი „ბუმი 2“
15.20 სერიალი
18.50 სერიალი „დანიელა“
22.00 სერიალი „სასოწარკვეთილი დიასახლისები“
23.00 სად? რა? როდის?
00.00 მხ. ფილმი „ტოკიო“
02.20 მხ. ფილმი „ვოიაჟი“

მზე
08.30 მუსიკა
09.00 მხ. ფილმი
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი“
14.00 მხ. ფილმი „ელიზა“
15.00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
20.00 სერიალი „ტაქსის მძღოლი“
21.00 სერ. „სი ეს აი“
22.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ
00.00 მხ. ფილმი
02.00 მხ. ფილმი

იმედი
11.10 სერ. „ურჩხულებთან მებრძოლები“
12.00, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში“
15.00 მხ. ფილმი „კეთილი ადამიანები“
18.45 ქართ. სერიალი „გოგონა გარეუბნიდან“
20.30 სტუმრად იუმორინასთან
00.00 სერიალი, „ციხე ოზი“
01.00 მხ. ფილმი „კეთილი ჯონი“ (სუბტიტრ.ძ
03.10 მხ. ფილმი „შეუპოვარი“ (სუბტიტრ.ძ

აჭარა
09.00 მუსიკა
09.30 სერიალი „დაშნების დედოფალი“
12.40, 21 00 სერიალი „იდუმალი სტუმარი “
16.30 სერიალი „მოჯადოება“
19.00 მხ. ფილმი
23.00 მუსიკალური პროექტი
23.20 მხ. ფილმი

ერთსულოვნება
12.20 მხ. ფილმი „ჩვენი ეზო“
13.50 კონცერტი
16.00 კლასიკა – კონცერტი
19.30 მხ. ფილმი „ცხელი ზაფხულის სამი დღე“
00.40 ოპერა

საქართველო
08.00 მუსიკა
11.00 სერიალი „სიოგუნი“
12.30 მხ. ფილმი „ჩენსის დაბრუნება“
14.00 მხ. ფილმი „უცხოელი“
16.05 მხ. ფილმი „ომი“
18.05 მხ. ფილმი „პელჰემ 123“
20.05 მხ. ფილმი „ერთხელ მექსიკაში
00.00 მხ. ფ. „მევიოლინე სახურავზე“

რეგიონი-TV
11.25 მხ. ფილმი „ძმები ბლუზები“
13.35 მხ. ფილმი „ნარნიის ქრონიკები 2“
15.50 მხ. ფილმი „ქილერები“
17.45 მხ. ფილმი „უსახოდ“
21.10 მხ. ფილმი „მეხუთე ელემენტი
23.15 მხ. ფილმი „ჭამე, ილოცე, გიყვარდეს“
01.45 მხ. ფილმი „ცოცხლად არ აიყვანოთ“

### 27 დეკემბერი, ორშაბათი

I არხი
15.00, 21.00 სერიალი „ტკბილი, მწარე ცხოვრება“
00.30 მხ. ფილმი „ბიჭებთან ერთად მანქანით გასეირნება“

II არხი
09.00 მხ. ფილმი „ლეპრიკონების საოცარი ლეგენდა“
20.00 მხ. ფილმი „შური“
01.00 მხ. ფილმი „ბისოსებს მიღმა“

რუსთავი-2
10.00 სერიალი „გრძნობათა ტყვეობაში“
11.00 სერიალი „სამუდამოდ შენი“
12.20 სერიალი „შენ ჩემი სიცოცხლე ხარ“
16.00 სერიალი „სიყვარულის საიდუმლო“
16.50 სერიალი „მორენას ვნება“
18.30 სერიალი „სისხლიანი საიდუმლო“ I სერია.
18.50 სერ. „დანიელა“
19.50 სერიალი „სად არის ელისა“
02.00 საფეხბურთო ღამე
02.30 მხ. ფილმი „გაალეთ პოლიციაა“

მზე
09.00 სერიალი „ჩენტო ვეტრინე“
11.00 20.00 სერიალი „დაუნდობელი სამყარო“
12.00 სერიალი „გაუხსნელი საქმე“
14.30 ფეხბურთი „ლორიანი“ – „ბონპელიე“
17.00 მხ. ფილმი
19.00 სერიალი „ვნებათა მიწა“
21.00 სერიალი „სი ეს აი“
22.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.ძ
00.00 სერიალი „გაუხსნელი საქმე“
01.45 მხ. ფილმი

იმედი
10.00 სერიალი „სილამაზის მსხვერპლი“
11.50 სერიალი „მეორე სიცოცხლე“
13.00,18.45 სერიალი „ლობას საიდუმლო“
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა“
17.40 სერიალი „მოჯადოებული“
21.00 სერიალი „ქალბატონი“
22.00 სერიალი „მგლების ხორუში“ (მე-4 სერ.ძ
23.00 მხ. ფილმი „ოთხი ოთახი“ (სუბტიტრ.ძ
01.00 მხ. ფილმი „მზის ბნელი მხარე“ (სუბტიტრ.ძ
02.40 მხ. ფილმი „ველური ორქიდეა 2“

აჭარა
09.30 სერიალი „დაშნების დედოფალი“
11.50, 21.00 სერიალი „იდუმალი სტუმარი“
12.50 მხ. ფილმი „მე ვხედავ მზეს“
16.30 სერიალი „მოჯადოება“
19.00 მუსიკა
19.30 სერიალი „ჩემი მიწა“
23.55 მხ. ფილმი „აფეთქება“

ერთსულოვნება
12.15 მხ. ფილმი „ცხელი ზაფხულის სამი დღე“
19.15 მხ. ფილმი „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ (1-ლი სერ.ძ
21.30 მოკლემ. ფილმი „ქვევრი“

საქართველო
10.10 სერიალი „კაპიტანი ალატრასტე“
12.45 მხ. ფილმი „აშშ-ს ზღვის ლომები“
14.35 სერიალი „ჭეშმარიტების მახვილი“
15.25 მხ. ფილმი „როკი 5“
18.35 სერიალი „ფორსაჟი“
20.25 მხ. ფილმი „16 კვარტალი“
22.20 მხ. ფილმი „საუკეთესო“
00.15 მხ. ფილმი „კაბარე“

რეგიონი – TV
09.45, 19.45 სერიალი „უშნო ბეტი“ (მე-16 სერ.ძ
11.45, 00.45 მხ. ფილმი „პარიზიდან სიყვარულით“
13.20 მხ. ფილმი „ნოთინგ ჰილი“
15.45 მხ. ფილმი „ჯადოქრის მოწაფე“
18.00 მხ. ფილმი „ტაქსი 3“
22.10 მხ. ფილმი „რეალური სიყვარული“

### 25 დეკემბერი, შაბათი

თბილისის საკონცერტო დარბაზი
20:00 - სუხიშვილების ნაციონალური ბალეტის სოლო კონცერტი - (ბილეთის ფასი - 10 - 35 ლარიძ მელიქიშვილის ქ. 1, ტელ: 99-05-99

თბილისის არტ ჰოლი
18:00 - „მაკნატუნა“ (პრემიერა) - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარიძ ც. დადიანის გამზ. 26, ტელ: 15-32-32, 15-55-30

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 1ძ
12:00 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (7 ლარი)
14:00 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (8 ლარი)
16:00 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (10 ლარი)
18:00 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (10 ლარი)
20:00 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (12 ლარი)
22:15 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (14 ლარი)
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000

კინოთეატრი „ამირანი“ (დიდი დარბაზი)
12:15 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (7 ლარი)
14:15 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (8 ლარი)
16:15 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (10 ლარი)
18:15 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (10 ლარი)
20:15 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (12 ლარი)
22:15 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (14 ლარი)
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

კინოთეატრი „ამირანი“ (მცირე დარბაზი)
12:30 - „ჰარი პოტერი“ - (6 ლარი)
15:00 - „ჰარი პოტერი“ - (7 ლარი)
17:30 - „ჰარი პოტერი“ - (8 ლარი)
20:00 - „სადღაც“ - (10 ლარი)
22:15 - „სადღაც“ - (10 ლარი)
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

რუსთაველის თეატრი (მცირე სცენაძ
19:45 - „წელიწადის ოთხი დრო“ (ჩრდილების თეატრიძ - (ბილეთის ფასი - 7-8 ლარიძ რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 72-68-68

რუსთაველის თეატრი (დიდი სცენაძ
19:45 - „შობის მეთორმეტე ღამე ანუ როგორც გენებოთ“ - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი) რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 72-68-68

მარჯანიშვილის თეატრი
20:00 - „ჟოლო“ (პრემიერა) - (ბილეთის ფასი - 4 - 11 ლარიძ მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენშიძ
20:00 - „ტანგო ნაბიჭვართან“ - (ბილეთის ფასი - 11 ლარიძ მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

თავისუფალი თეატრი
19:00 - „მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!“ - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარიძ რუსთაველის 2 ტელ: 98-58-21

თუმანიშვილის თეატრი
19:00 - „შვიდი პატარა პიესა“ - (ბილეთის ფასი - 7 ლარიძ დ. აღმაშენებლის გამზ. 164 ტელ: 34-28-99

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
19:00 - „ვერის უბნის მელოდიები“ - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარიძ აღმაშენებლის გამზ. 182 ტელ: 34-80-90

ილიას უნივერსიტეტის თეატრი
20:00 - „ძრავა“ - (ბილეთის ფასი - 10 ლარი; სტუდენტებისთვის - 5 ლარიძ ი. ჭავჭავაძის გამზ. 32. ტელ: 29-47-15

ახმეტელის თეატრი
19:00 - „ვერაგობა და სიყვარული“ - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარიძ ვეკუას ქ. 8 ტელ: 62-59-73, 62-61-97

გრიბოედოვის თეატრი
18:00 - „დოსტოევსკი.ru“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ რუსთაველის გამზ. 2 ტელ: 93-11-06

გაბრიაძის თეატრი
19:00 - „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“ +12 - (ბილეთის ფასი - 5, 8, 10, 15 ლარიძ შავთელის ქ. 13, ტელ: 98-65-90, 893 37-95-07

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
12:00 - „ზამთრის ზღაპარი“
15:00 - „ტელეფონი“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ დ. აღმაშენებლის გამზ. 99/1 ტელ: 95-78-74, 95-39-27

### 26 დეკემბერი, კვირა

თბილისის არტ ჰოლი
14:00 - „მაკნატუნა“ (პრემიერა) - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარიძ ც. დადიანის გამზ. 26, ტელ: 15-32-32, 15-55-30

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 1ძ
12:00 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (7 ლარი)
14:00 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (8 ლარი)
16:00 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (10 ლარი)
18:00 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (10 ლარი)
20:00 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (12 ლარი)
22:15 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (14 ლარი)
რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000

კინოთეატრი „ამირანი“ (დიდი დარბაზი)
12:15 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (7 ლარი)
14:15 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (8 ლარი)
16:15 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (10 ლარი)
18:15 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (10 ლარი)
20:15 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (12 ლარი)
22:15 - „საახალწლო ზღაპარი“ 3D - (14 ლარი)
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

კინოთეატრი „ამირანი“ (მცირე დარბაზი)
12:30 - „ჰარი პოტერი“ - (6 ლარი)
15:00 - „ჰარი პოტერი“ - (7 ლარი)
17:30 - „ჰარი პოტერი“ - (8 ლარი)
20:00 - „სადღაც“ - (10 ლარი)
22:15 - „სადღაც“ - (10 ლარი)
კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

რუსთაველის თეატრი (მცირე სცენაძ
19:45 - „გონზაგოს მკვლელობა“ - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარიძ რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 72-68-68

რუსთაველის თეატრი (დიდი სცენაძ
16:00 - „სალამურა“ (ზღაპარი) - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარიძ რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 72-68-68

მარჯანიშვილის თეატრი
20:00 - „ჟოლო“ (პრემიერა) - (ბილეთის ფასი - 4 - 11 ლარიძ მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენშიძ
20:00 - „ჭკუისა მჭირს“ - (სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრიძ - (ბილეთის ფასი - 11 ლარიძ მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

თავისუფალი თეატრი
14:00 - „ბრემენელი მუსიკოსები“ (საახალწლო წარმოდგენა) - (ბილეთის ფასი - 5, 7 ლარიძ
19:00 - „ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები“ - (ბილეთის ფასი - 5, 10 ლარიძ რუსთაველის 2 ტელ: 98-58-21

თუმანიშვილის თეატრი
19:00 - „ორნი აქა, იქა...“ - (ბილეთის ფასი - 7 ლარიძ დ. აღმაშენებლის გამზ. 164 ტელ: 34-28-99

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
19:00 - „ვერის უბნის მელოდიები“ - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარიძ აღმაშენებლის გამზ. 182 ტელ: 34-80-90

ილიას უნივერსიტეტის თეატრი
20:00 - „ჭკუისა მჭირს“ - (ბილეთის ფასი - 10 ლარი; სტუდენტებისთვის - 5 ლარიძ ი. ჭავჭავაძის გამზ. 32. ტელ: 29-47-15

ახმეტელის თეატრი
19:00 - „მოთმინება და იმედი“ - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარიძ ვეკუას ქ. 8 ტელ: 62-59-73, 62-61-97

გრიბოედოვის თეატრი
12:00 - „ემილიას ბედნიერება“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ რუსთაველის გამზ. 2 ტელ: 93-11-06

გაბრიაძის თეატრი
19:00 - „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“ +12 - (ბილეთის ფასი - 5, 8, 10, 15 ლარიძ შავთელის ქ. 13, ტელ: 98-65-90, 893 37-95-07

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
12:00 - „ჯადოსნური ფარანი“
15:00 - „ზამთრის ზღაპარი“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარიძ დ. აღმაშენებლის გამზ. 99/1 ტელ: 95-78-74, 95-39-27.

რას ვუყუროთ შაბათს, კვირას, ორშაბათს

დაჯილდოება

# სპორტის სამინისტრომ საუკეთესოები დაასახელა



**საქართველოს სპორტსმენებმა წლეულს საერთაშორისო სარბიელზე სხვადასხვა სინჯის 400 მედალი მოიპოვეს, მათ შორის ოლიმპიურ სახეობებში – 268 ჯილდო. სახელმწიფომ ათლეტებისთვის პრემიების სახით მილიონ ცხრაასი ათასი ლარი გამოყო. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 2010 წლის შედეგები შეაჯამა და გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად ფილარმონიის „ივენთჰოლში“ საზეიმო ღონისძიებაც გამართა.**

საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის დაწესებული პრიზები თავისუფალი სტილით მოჭიდავე **დავით ხუციშვილს,** ძიუდოისტ **ავთანდილ ჭრიკიშვილსა** (ორივენი ახალგაზრდებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები არიანძ და ბატუტზე მხტომელ **ანა ოდიშვილს** (მსოფლიოს ჩემპიონიძ გადაეცათ. ვეტერანებში საუკეთესოდ სამბისტი **თემურ გიორგაძე** დასახელდა. დანარჩენ ნომინაციებში გამარჯვებულად ცნეს: საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი **ელიშერ მაჩაიძე,** საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია,** საუკეთესო გუნდი – საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები, რომელმაც 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. სპორტის სამინისტროს ვერსიით 2010 წლის



საუკეთესო სპორტსმენი გახდა მორაგბე **დავით ზირაქაშვილი,** რომელსაც „ბაზისბანკის“ მიერ დაწესებული ჯილდო – 5 ათასი ლარიც ერგო. ევროპაში უამინდობისა და გადადებული ავიარეისების გამო დაჯილდოების ცერემონიალს ვერ ჩამოუსწრო.

საზეიმო ღონისძიება ქართველ მომღერალთა კონცერტმაც დაამშვენა.

**ლექსო ცინცაძე**

ჭიდაობა

# „კლასიკოსებმა“ სეზონი ეროვნულით დახურეს



**ოლიმპიური ჩემპიონის – შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც პეკინის ოლიმპიადის გამარჯვებულ მანუჩარ კვირკველიას და მსოფლიოს ჩემპიონ რამაზ ნოზაძეს არ უჭიდავიათ, თუმცა მათს არყოფნას შეჯიბრების სიმწვავეზე ზეგავლენა არ მოუხდენია. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩემპიონატმა წარმოაჩინა ახალგაზრდა მოჭიდავეები, ჯიქურ რომ მიიწევენ ეროვნულ ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად. გულშემატკივრებსა და სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა არჩილ თურმანიძემ (აჭარა, 66 კგძ, რომელმაც გადამწყვეტ პაექრობაში გამოცდილ თანაგუნდელს მუხრან მაჭუტაძეს აჯობა.**



ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ გვითხრა, რომ საერთაშორისო სარბიელზე ბოლო ორწლიანი ჩავარდნის შემდეგ, რაც უმთავრესად ნაკრებში თაობათა ცვლით იყო გამოწვეული, უკვე იკვეთება წინსვლის კონტურები. დასტურად მინსკის დიდ საერთაშორისო ტურნირში მეორე ადგილის დაკავება დაასახელა. „ბელარუსის დედაქალაქში ჩვენმა ფალავნებმა რუსეთის, უკრაინისა და ამერიკის ძლიერი გუნდები დაამარცხეს და მხოლოდ ფინალურ პაექრობაში დათმეს მასპინძლებთან. ხარვეზები თანდათან სწორდება, თუმცა მომავალ ევროპის ჩემპიონატზე 1-2 აპრილს დორტმუნდში დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება უწინდელი პოზიციების დასაბრუნებლად“, – აღნიშნა დარჩიამ. უკვე ცნობილია, რომ ქართველი მოჭიდავეები კონტინენტის პირველობამდე თურქეთის, საფრანგეთისა და ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირებში იასპარეზებენ.

ახლა კი ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაუწყებთ:

**55 კგ.** 1. ლაშა გოგიტაძე (ქუთაისიძ, 2. ზურაბ მაჭარაშვილი (ოზურგეთიძ, 3. ამირან შავაძე (აჭარაძ და გენადი ქუთათელაძე (წყალტუბოძ.

**60 კგ.** 1. რევაზ ლაშხი (ბორჯომიძ, 2. ირაკლი ჭოჭუა (თბილისიძ, 3. გოგიტა გოგიბერაშვილი (სამტრედიაძ და ფირუზ წულუკიძე (აჭარაძ.

**66 კგ.** 1. არჩილ თურმანიძე, 2. მუხრან მაჭუტაძე, 3. მარად აბულაძე (სამივე – აჭარაძ და ანტონ მამაგეიშვილი (ქუთაისიძ.

**74 კგ.** 1. მანუჩარ ცხადაია (ხობი), 2. ილია გულბათაშვილი, 3. ზურაბ დათუნაშვილი (ორივე – თბილისი) და რამინ ფევაძე (აჭარა).

**84 კგ.** 1. ვლადიმერ გეგეშიძე (თბილისიძ, 2. დავით ჩაკვეტაძე (ქუთაისიძ, 3. მათე სოფაძე (ბაღდათიძ და რევაზ ნადარეიშვილი (თბილისიძ.

**96 კგ.** 1. სანდრო დიხამინჯია, 2. სოლომონ გიკაშვილი (ორივე – თბილისიძ, 3. ვლადიმერ ქარჩავა და ბექა ჩოფლიანი (ორივე – ოზურგეთიძ.

**120 კგ.** 1. გურამ ფერსელიძე (აჭარაძ, 2. რევაზ ჭელიძე (ოზურგეთიძ, 3. შოთა გოგისვანიძე (ქუთაისიძ და დიმიტრი ჯავახიშვილი (თბილისიძ.

**გივი გაგუა**

**სურათზე: მარცხნიდან – ბეგი დარჩია, არჩილ თურმანიძე, გელა ჯანელიძე და აჭარის სპორტის მინისტრის მოადგილე რაულ თავართქილაძე.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

კალათბურთი

# გამოვლინდა ტოპ – 16

**დასრულდა ევროლიგის პირველი ჯგუფური ტურნირი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ესპანური კლუბების უპირატესობა – გაისად პრესტიჟული პრიზისთვის ბრძოლას ამ ქვეყნის ხუთივე წარმომადგენელი გააგრძელებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მათგან ერთმაც კი ვერ შეძლო თავის ჯგუფში გამარჯვება.**

სამაგიეროდ, ამ მხრივ ბერძნულმა გრანდებმა ივაჟკაცეს, რომელთაც ბადალი ორ ჯგუფში არ ჰყავდათ.

რაც შეეხება პირველი ეტაპის აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს, იგი თელ-ავივის „მაკაბიმ“ აჩვენა, ხოლო ზაგრების „ციბონა“ ერთადერთია, ყველა მატჩი რომ წააგო.

**გაუწყებთ დასკვნითი რაუნდის შედეგებს:**

**„ა“ ჯგუფი.** „ტაუგრესი“ – „პარტიზანი“ 87:71, „პროკომი“ – „მაკაბი“ 72:83, „ხიმკი“ – „ჟალგირისი“ 93:89 (დამატებით დროშიძ.

**საბოლოო მდგომარეობა:** „მაკაბი“ – 9, „ტაუგრესი“, „ჟალგირისი“, „პარტიზანი“ – 5-5, „ხიმკი“ – 4, „პროკომი“ – 2 მოგება.



**„ბ“ ჯგუფი.** „ოლიმპიაკოსი“ – „რომა“ 89:82, „უნიკახა“ – „ბროზე“ 70:72, „რეალი“ – „შარლერუა“ 94:45.

**საბოლოო მდგომარეობა:** „ოლიმპიაკოსი“ – 7, „რეალი“ – 6, „უნიკახა“, „რომა“ – 5-5, „ბროზე“ – 4, „შარლერუა“ – 3 მოგება.

**„გ“ ჯგუფი.** „ბარსელონა“ – „სიენა“ 73:72, „ციბონა“ – „რიტასი“ 77:94, „ულქერი“ – „შოლე“ 93:61.

**საბოლოო მდგომარეობა:** „სიენა“ – 8, „ულქერი“, „ბარსელონა“ – 7-7, „რიტასი“, „შოლე“ – 4-4, „ციბონა“ – 0 მოგება.

**„დ“ ჯგუფი.** „პანათინაიკოსი“ – „მილანი“ 93:62, ცსკა – „ეფესი“ 78:69, „ვალენსია“ – „ოლიმპია“ 78:77.

**საბოლოო მდგომარეობა:** „პანათინაიკოსი“ – 7, „ოლიმპია“ – 6, „ეფესი“, „ვალენსია“ – 5-5, „მილანი“ – 4, ცსკა – 3 მოგება.

**მეორე ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა გაისად იანვარში მოეწყობა.**

ჭადრაკი

# ექვსნი – უმაღლესში

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრება. 9 შესაძლებლიდან 7-7 ქულით პირველ-მეორე ადგილებზე, შესაბამისად, მალხაზ სულაშვილი და ლუკა პაიჭაძე გავიდნენ.** მომდევნო ორი ადგილი 6,5:6,5 ქულით შოთა აზალაძემ და ბაჩანა მორჩიაშვილმა გაიყვეს. 6-6 ქულით მეხუთე-მერვე ადგილები გიგა ყუფარაძემ, დავით ზარქუამ, გიორგი ბაღათუროვმა და გაიოზ ნიგალაძემ დაიკავეს. ამ რვა მოჭადრაკიდან პირველმა ექვსმა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება (ბაღათუროვი და ნიგალიძე სათადარიგოები არიანძ მოიპოვა. ისინი რეიტინგით საქართველოს 10 საუკეთესო დიდოსტატს შეუერთდებიან და 11 იანვრიდან ნოკაუტსისტემით ეროვნული ჩემპიონატის მედლებისთვის იბრძოლებენ.



**ლაშა დიდია**

ფეხბურთი

# იმერეთი ფინალშია

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების ნახევარფინალისტთა კენჭისყრა, რომელმაც ერთმანეთთან „ქუთაისი“ და „ზესტაფონი“ დააწყვილა. ასე რომ, იმერეთს ფინალის ერთი საგზური გარანტირებული აქვს.**



რაც შეეხება მეორე წყვილს, იგი მეორე ლიგის ბინადარმა, გათამაშების მთავარი სენსაციის (დაამარცხა თბილისის „დინამო“ძ ავტორმა „გაგრამ“ და საპატიო ჯილდოს ამჟამინდელმა მფლობელმა დედაქალაქის „ვიტ ჯორჯიამ“ შეადგინეს.

მომავალი ბრძოლების თარიღები ამ დღეებში დაზუსტდება.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

## ბენიტესი „ინტერიდან“ წავიდა



**ამას წინათ ვწერდით (სრ. 22.12ძ, იტალიური კლუბის „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ განაცხადა, რომ თანამდებობიდან უშვებს გუნდის მთავარ მწვრთნელს რაფაელ ბენიტესს, თუმცა მისი ხელმძღვანელობით „ინტერმა“ საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმარჯვა. მოიმიზეზა ისიც, რომ მწვრთნელმა თავად განაცხადა, რომ თუ იანვრისთვის ხელმძღვანელობა არ შეიძენს 3 ახალ ფეხბურთელს, მაშინ ის „ინტერიდან“ წავა.**

და აი, როგორც იტალიიდან იტყობინებიან, რაფაელ ბენიტესმა დატოვა კლუბი. მილანური კლუბის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ მწვრთნელთან ამ ზაფხულს გაფორმებული ორწლიანი კონტრაქტი ორივე მხარის სურვილით გაუქმებულია, ხოლო ესპანელ სპეციალისტს კომპენსაციის სახით გადაუხდიან დაახლოებით 8 მილიონ ევროს.

ბენიტესის შემცვლელის ვინაობა ჯერჯერობით არ დაუსახელებიათ, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ის ალბათ ბრაზილიელი ლეონარდო იქნება.

## უსაზღვროდ ბედნიერია!

**კიდევ ერთი ბიჭი „აჩუქა“ თავის ქმარს – ფეხბურთელ მაქს ლოპესს ცნობილმა არგენტინელმა მოდელმა ვანდა ნორამ. ახალშობილს კონსტანტინო დაარქვეს. მის ორ წლის წინათ დაბადებულ ძმას კი – ვალენტინო. ორი შვილის დედა ვანდა უსაზღვროდ ბედნიერია.**



მაქს ლოპესი ადრე რუსულ „მოსკვაში“ რომ თამაშობდა, ახლა იტალიაში „კატანიას“ თავდამსხმელია.

როგორც ამბობენ, ახლა ვანდასა და მაქსის მოსალოცად არგენტინიდან უკვე უამრავი ნათესავი დაიძრა, მათ შორის არის ვანდას და ზაირაც, სულ მალე გასული მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეზე, ურუგვაელ დიეგო ფორლანზე რომ თხოვდება.

◎ გაიხსნა ზინა კვერენჩხილაძის „ვარსკვლავი“

# სიხარული საახალწლოდ



აი, ზინა კვერენჩხილაძის „ვარსკვლავიც“ მიემატა რუსთაველის თეატრის შესასვლელს, რუსთაველის გამზირის მხარგაშლილობას. კი ბატონო, დამკვიდრდეს ტრადიციად ეს ევროამერიკული სტილი, ვითომ „ბეჭედდასმა“, ვითომ ჭეშმარიტი „დამტკიცება“ ქართველ მსახიობთა სახელ-დიდებისა და, მართლაც „ვარსკვლავობისა“, თორემ, ისე რა, ქვეყანამ იცის (მადლობა ღმერთს, ახალი თაობაც ხედავსძ ქალბატონი ზინას სახით, რა დონის, რა უკიდეგანო ნიჭიერების ოსტატი ჰყავს, უკვე 55 წელიწადია, ქართულ თეატრს, რუსთაველის თეატრის „ვარსკვლავებით“ მოჭედილ სცენას.

ამ სცენაზე 23 დეკემბრის საღამოს ზინა კვერენჩხილაძის ურთგულესმა მეგობრებმა და კოლეგებმა განსაკუთრებული შემართებით გაითამაშეს მოხუცი ჯამბაზების სევდა-ნაღვლიანი ცხოვრების ამბავი, ქალბატონი ზინაც მათ გვერდით იყო, ქალბატონი ზინაც მათი ცხოვრებით ცხოვრობდა... მერე კი, მოგვიანებით, იმ თეატრის შესასვლელთან „აკურთხეს“ მისი სახელი და გვარი, რომლის სცენაზეც არაერთი შთამბეჭდავი სახე შექმნა ჩვენმა სახელოვანმა მსახიობმა (მარტო ანტიგონეს გახსენება რად ღირსძ.

იცოცხლეთ, ქალბატონო ზინა, თქვენ ყველა სიკეთის ღირსი ხართ, რა სჯობს სიხარულს საახალწლოდ, ჰოდა, ვიზიარებთ თქვენს სიხარულს.

ვილენ მარდალეიშვილი

◎ სიმართლე კი ასეთია

# „როდის გადმოსახლდნენ სომხები საქართველოში“




**გამოჩენილმა ქართველმა სასულიერო და საზოგადო მოღვაწემ მიხეილ თამარაშვილმა 1904 წელს გამოსცა წიგნი – „პასუხად სომეხ მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას“. ეს მონოგრაფია იყო პასუხი სომეხი მწერლების – ნაჰაპეტიანის, სარუხანის და სხვათა წინააღმდეგ, რომლებიც სომხურ და უცხო ენებზე გამოქვეყნებულ თავიანთ ნაშრომებში შეეცადნენ დაემტკიცებინათ თითქოს ქართველი კათოლიკენი ბუნებაში არ არსებობდნენ. თუ სადმე მოიძევებიან, ისინიც სომხური წარმომავლობისანი არიანო.** ამ ცილისწამებას ვატიკანის – „პროპაგანდა ფიდას“ საარქივო მასალების და სამეცნიერო ლიტერატურის ფართო და ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, შეიძლება თავისუფლად ითქვას, გამანადგურებელი პასუხი გასცა აღნიშნული წიგნით მიხეილ თამარაშვილმა. ამ მონოგრაფიის ერთი თავი – „როდის გადმოსახლდნენ სომხები საქართველოში“ ახლახან ცალკე წიგნად გამოვიდა, რომელიც გამოსაცემად მოამზადა შენიშვნა და კომენტარები დაურთო **ბონდო არველაძემ.** განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წიგნი გამოვიდა ქართულ და ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებზე, ცალ-ცალკე. ეს კი ინგლისურ და რუსულენოვან მკითხველს საშუალებას მისცემს გაეცნოს სომხების საქართველოში შემოსვლის ჭეშმარიტ ისტორიას, რომელსაც ზოგიერთი სომეხი მეცნიერი ძალზე ადრეული პერიოდიდან იწყებს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. კიდევ მეტი: მათ თბილისი სომხების დაარსებულად მიაჩნიათ. პირველი სომხური ეკლესიის არსებობას თბილისში 631 წლით საზღვრავენ, რაც არავითარი ფაქტობრივი საისტორიო და არასაისტორიო წყაროებით არ დასტურდება.

მიხეილ თამარაშვილმა მაღალი აკადემიური კვლევის შედეგად გააქარწყლა აღნიშნული მოსაზრებები. და აგრეთვე დაამტკიცა, რომ სომეხთა შემოსვლა საქართველოში გვიან საუკუნეებში დაიწყო, მაგრამ არა ისეთი ინტენსიურობით და ფართო მასშტაბით, როგორც მოხდა მათი შედინება ევროპაში.

ბადრი ბურჯანაძე

◎ ახალი წიგნი

# „მატარებელი მიჰქრის ბინდებად“...

**ნარგიზა თოდრიას წიგნად გამოცემული ექსცენტრიკული ნოველა „მატარებელი“ მე-20 საუკუნის 40-იანი წლების ვითარებას ასახავს. ავტორისთვის მატარებელი, გალაკტიონის მსგავსად, „ცხოვრების ეტლის სადარებელია“, ადგილი – საპოვარი სულისათვის, სადაც შეიძლება იპოვო სიუჟეტები, თავგადასავლები, კომედიები, ექსცენტრულ ადამიანთა დაუვიწყარი, მეხსიერებაში წარუშლელი სახეები... „ჩვენი წილი წუთისოფლის ეტლი უკანმოუხედავად მიჰქრის და მიჰქრის“... – აღნიშნავს ავტორი.**




ნოველაში თბილი სევდით გადმოცემულია ომის პერიოდი, სიღარიბე, შიმშილი... ამის მიუხედავად ადამიანები მაინც არ კარგავდნენ სიკეთეს. „ყველაზე დიდი ვაჟკაცობა და გმირობა პატიოსნება და სიკეთეა“, – სჯერა ავტორს.

ნოველაში არის ერთი ამაღელვებელი ეპიზოდი: „ომის წლებში დედაჩემი ელენე სადილს რომ გააკეთებდა, მუხლებზე რომ დავჩოქებოდით შვილები, ბოლო „თეფშს“ მაინც არ შეგვაჭმევდა: „ეგებ, როგორი მშიერი კაცი მიკაკუნებს დღეს კარებზე, იმას რაღა ვაჭამოო“...

ნოველის სიუჟეტი ბათუმ-თბილისის მატარებელში ვითარდება. პერსონაჟების მონათხრობით იხატება მე-20 საუკუნის 30-იანი წლების პერიოდიც – სასტიკი რეპრესიები, ათასობით უდანაშაულო მსხვერპლი, „ხალხმაც ბევრი ვცოდეთ. ნაცვლად იმისა, რომ ერთმანეთი დაგვეფარა, პირიქით, თითს ვიშვერდით ერთმანეთისკენ... ამიტომაა ყველაზე მეტი დახვრეტილი ჩვენი რესპუბლიკიდან“, – წერს ავტორი.

**ნოველაში საინტერესოდაა წარმოჩენილი სტალინის ფენომენი. სტალინის პერსონაჟად შემოყვანა მკითხველზე ზემოქმედებს და შთაბეჭდილებას ამძაფრებს. ნოველა დღევანდელობას ეხმიანება და მკითხველს ფიქრისთვის განაწყობს.**

ნატა ნიბლაძე

განცხადება

შპს „მედიკოსის“ სალიკვიდაციო კომისია იუწყება, რომ აღნიშნულ საწარმოში ლიკვიდაციის პროცესი დასასრულს უახლოვდება. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, მიმართოთ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე: ი. ჭავჭავაძის გამზირი №44. ტელ: 226124.

გარდაიცვალა საქართველოს საამაყო მგალობელი

ზაურ ბოლქვაძე,



რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოს სიყვარულს უმღეროდა. იგი განუმეორებელი ხმით ანცვიფრებდა მსმენელს. მისი სასიმღერო რეპერტუარი მრავალმხრივი და მდიდარი იყო. ის იყო ბრწყინვალე ხელოვანი და მამულიშვილი. დაუვიწყარია მისი სიმღერა და გურული იუმორი, რომელიც მის პიროვნებას ამშვენებდა. იგი საზოგადოებაში უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა.

სამწუხაროა და დასანანი მისი გარდაცვალება, დაგვიტოვა განუმეორებელი ხელოვნება, რომელიც მის სახელს ხშირად გაგვახსენებს.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი სინანულით იუწყება ზაურ ბოლქვაძის გარდაცვალებას, უსამძიმრებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

მერაბ ბერძენიშვილი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა მწუხარებით იუწყება

ზაურ ჭანტურიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახური მწუხარებას გამოხატავს

ზაურ ჭანტურიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს შვილს, ზავილ ჭანტურიას და სხვა ჭირისუფალთ.



წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის მიმართულება იუწყება პროფესორ

მალხაზ ჭელიძის

გარდაცვალებას და ღრმა სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჩვენგან წავიდა უკეთილშობილესი პიროვნება, რომელმაც მრავალი ყმაწვილი დააყენა სწორ გზაზე და მთელი ცხოვრების განმავლობაში ადასტურებდა უსაზღვრო სიყვარულს თავისი ხალხისა და სამშობლოს მიმართ.

თავმდაბალი, სიკეთით სავსე, დღენიადაგ მხნე და ენერგიული, უაღრესად საიმედო და ერთგული ადამიანის მალხაზ ჭელიძის ნათელმა სახემ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი მისი ახლობლების, მეგობრების, კოლეგების და სტუდენტების გულებში.

◎ ინფორმაცია

## გარდაიცვალა მიხეილ თუმანიშვილი

**მოსკოვში 76 წლის ასაკში ცნობილი კინორეჟისორი და მსახიობი მიხეილ თუმანიშვილი გარდაიცვალა.**

**რეჟისორს 25 დეკემბერს კინოს სახლის თეთრი დარბაზიდან გამოასვენებენ.**

**თუმანიშვილი ცნობილია რეჟისორული ნამუშევრებით: „შემთხვევა კვადრატში 36-80“, „საქორწილო ვარდნა“, „ვოლკოდაევი“, „ჯვრის მტვირთველი“, „გზა, რომელსაც ბედნიერებისკენ მივყავართ“, „ძლიერი სუსტი ქალი“ და სხვა.**

**რეჟისორს 25 დეკემბერს კინოს სახლის თეთრი დარბაზიდან გამოასვენებენ.**

## მოსკოვში ჩვენი თანამემამულე მოკლეს

**„რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, მოსკოვში საქართველოს მოქალაქის მკვლელობის შესახებ მილიციას გუშინ, 19:40 საათზე აცნობეს. ადგილზე მისულ სამართალდამცველებს იგი კვლავ ცოცხალი დახვდათ, თუმცა მალევე გარდაიცვალა.**

**მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ გარდაცვლილი 1977 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქე იყო.**

**შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია კალაშნიკოვის ტიპის ავტომატი და რამდენიმე ათეული ჰილზი.**

**მილიცია მიმდებარე ტერიტორიაზე დაყენებული ვიდეოკამერების ჩანაწერს ამოწმებს, რომელსაც შესაძლოა მკვლელობის ფაქტი დაეფიქსირებინა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ნომრის კარიკატურა



## გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი – საქართველოს რესპუბლიკა

### რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.




გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.

ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ – 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ – 93-38-75; „პრესექსპრესი“ – 96-23-11; „ელვასერვისი“ – 38-80-02; „ჯეომედია“ – 95-51-70; „საქპრესა“ – 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 – 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7581 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3128 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7251 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.7232 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



### იყიდება სასწრაფოდ!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკე)
ვრცელი ფართობი (180 კვმ.) საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), ბინდათ საცხოვრებლად, ბინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

### ცნობისმოყვარეთათვის

## სად, რა, როდის?

● ქალაქი ვაშინგტონი ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქად 1800 წელს გამოცხადდა.

● წყნარი ოკეანის კუნძულს, სადაც უცნობი წარმოშობის გიგანტური ქვის სკულპტურებია აღმოჩენილი, ქრისტიანული დღესასწაულის – აღდგომის სახელი ჰქვია.

● 1814 წელს ბრიტანელმა ზღვაოსანმა და ჰიდროგრაფმა მეთიუ ფლინდერსმა გამოაქვეყნა დღიური, სადაც წამოაყენა წინადადება, სახელი გადაერქმიათ ჰოლანდიისთვის და ახალი სახელი – ავსტრალია დაერქმიათ.

● გი დე მოპასანი მის გამო საყვარელი ქალაქის დატოვებას აპირებდა. საფრანგეთის მთავრობამ კი მიიღო წერილი, რომელსაც ინტელიგენციის 40 წარმომადგენელი აწერდა ხელს, მათ შორის მწერლები, მსახიობები, მხატვრები. ისინი წინააღმდეგი იყვნენ პროექტისა, რომელიც მაინც განხორციელდა, – ეს იყო ეიფელის კოშკის მშენებლობა პარიზში.

● ამერიკული ფირმა „მატელის“ მეპატრონის შვილს, რომელმაც გასული საუკუნის 50-იან წლებში პირველად გამოუშვა, დღეს უკვე მსოფლიოს ყველა ბავშვის საყვარელი თოჯინა ბარბი, ბარბარა ერქვა.

● ზაპოროჟიეს სამხარეო მუზეუმში არის ღუზების განყოფილება, სადაც გამოფენილი ღუზების სიმძიმე 80-დან 540 კილოგრამამდე, ზომა კი 1-დან 3,5 მეტრამდეა.

● პეტერბურგის გუბერნატორის ქალიშვილს სოფია პეროვსკაიას თავდავიწყებით შეუყვარდა მუშა ანდრეი ჟელიაბოვი. შეყვარებულის ციხიდან გამოსახსნელად სოფია სათავეში ჩაუდგა ტერორისტების ჯგუფს, რომელმაც 1881 წლის 1 მარტს ალექსანდრე II-ს სისხლიანი ანგარიშსწორება მოუწყვეს.

### ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | -1 – +12 |
| ქუთაისი. | +8 – +18 |
| ბათუმი. | +7 – +18 |
| ზუგდიდი. | +3 – +18 |
| თელავი. | +1 – +12 |

### დღის კალენდარი — 25 დეკემბერი

ალსაყდრების (ინტრონიზაციის) დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა ილია II-ისა.

ხსენება ღირსისა მამისა ჩვენისა იოანე – ზედაზნის წინამძღვრისა, სარკინოზთაგან წამებულისა (IXს.) წმიდა სპირიდონ საკვირველთმოქმედის ტრიმიფუნტელ ეპისკოპოსისა (დაახლ.348წ.) მღვდელმოწამე ალექსანდრესი – იერუსალიმელ ეპისკოპოსისა (251წ); მოწამე სინეზისა (270-275წ.



ამოდის 07.26
ჩადის 16.36



ამოდის 21.31
ჩადის 12.28

### დაიბადნენ:

**1642 – ისააკ ნიუტონი,** დიდი ინგლისელი მეცნიერი.

**1879 – ლუი შევროლე,** ამერიკელი მანქანის კონსტრუქტორი. გარდაიცვალა 1941 წელს.

**1866 – გიორგი ლასხიშვილი,** პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1931 წელს.

**1904 – კონსტანტინე ლორთქიფანიძე,** მწერალი. გარდაიცვალა 1987 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1936 – კარლ შტუმფი,** გერმანელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი.

**1977 – ჩარლზ სპენსერ ჩაპლინი,** კინომსახიობი და რეჟისორი.

### მოვლენები:

**● რომის კათოლიკური ეკლესია აღნიშნავს ქრისტიანული სამყაროს უდიდეს დღესასწაულს – ქრისტეშობას.**

**336 წელი** – რომში ქრისტეს დაბადება პირველად დამტკიცდა დოკუმენტურად.

**1066 წელი** – ვესტმინსტერის სააბატოში ვილჰელმ ორანელი ინგლისის მეფედ აკურთხეს.

**1492 წელი** – ხომალდი „სანტა-მარია“, რომლითაც კოლუმბმა ამერიკის ნაპირებს მიაღწია, ჰაიტის მახლობლად რიფებს შეეჯახა.

**1758 წელი** – იოჰან გეორგ პალიჩი პირველად აკვირდება კომეტას, რომლის დაბრუნებაც ადრე იწინასწარმეტყველა ინგლისელმა ასტრონომმა ედმუნდ ჰალეიმ და რომლის სახელსაც ატარებს დღეს.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ჰონკონგი** – კონსტიტუციის დღე.

**მოზამბიკი** – ოჯახის დღე.

**კონგო** – ბავშვის დღე.

**მედიანიუსი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

### კადრი



### ანეკდოტები

– როგორი ქალები უფრო მოგწონთ – ქერები თუ შავგრემნები?
– ჩემთვის სულერთია, ოღონდ ძილი მაცალონ.

* * *

– გიყვარვარ? – ეკითხება დაშა პეტკას.
– კი.
– ძალიან?
– ძალიან.
– მაინც რა მოგწონს ყველაზე მეტად?
– ლუდი.

* * *



თუ ნებისმიერ „რუსთავი-2“-ზე ახალი ამბების ყურების შემდეგ ტელევიზორს გამორთავთ, ჩაშავებულ ეკრანზე შეიძლება დაინახოთ გამოჭუჭყებულის გამოსახულება, ხოლო თუ მთელი ოჯახი უცქერდით ტელევიზორს, მაშინ რამდენიმე ყურბანასი ერთად.

* * *

– ოი, მაშენკა, რომ იცოდე როგორი მარტოსული ვარ, – ეწუწუნება გალინა დაქალს.
– როგორ თუ მარტოსული? – გაუკვირდა მას. ყველამ ხომ ვიცით, რომ შენ ქმარიც გყავს და საყვარელიც?
– აი, სწორედ ეს არის საქმე – ისინი მუდამ ერთმანეთის იმედად არიან და...

* * *

პლაკატი ავტოსტრადაზე ქალაქში შესასვლელთან: „ბოძები ავტომობილებს აზიანებენ მხოლოდ თავდაცვის მიზნით“.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.